

ევრაზიზმის კონცეფციის შეხვედრის აღიარების

FOR UNDERSTANDING OF THE CONCEPT OF EURASIANISM

კახაბერ კურტანიძე
ფილოსოფიის დოქტორი

Kakhaber Kurtanidze, PhD

Summary

This article examines the concept of Euroasianism related to ideas such as: “Moscow – Third Rome,” “Holy Russia,” and “Political Hesychasm.” First Chapter studies the various features of the idea of Euroasianism in its historical and political contexts. It is shown that this concept never was fully articulated and still is going under constant re-interpretation. The second chapter deals with the exploration of historical backgrounds of the particular notions. It comes to a presumption that even though Euroasinism has its root-principles in Byzantine and has its affinities with universalistic claims of the Constantinople Patriarchate, it is a specific Muscovite-Russian idea.

რეზიუმე

ეს სტატია განიხილავს ევრაზიზმის კონცეფციას, რომელიც დაკავშირებულია ისეთ იდეებთან, როგორცაა: „მოსკოვი – მესამე რომი“, „წმინდა რუსეთი“ და „პოლიტიკური ისიქაზმი“. პირველი თავი განიხილავს ევრაზიზმის იდეის სხვადასხვა მახასიათებლებს მის ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში. ნაჩვენებია, რომ ეს კონცეპტი არასდროს ყოფილა სრულად არტიკულირებული და დღემდე რე-ინტერპრეტაციის პროცესშია. მეორე თავი ეხება კონკრეტული ცნებების ისტორიული ფონის შესწავლას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად ევრაზიზმის კავშირისა ბიზანტიასთან და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უნივერსალისტურ პრეტენზიებთან, იგი სპეციფიკურად მოსკოვი-ტურ-რუსული იდეაა.

წინათქმა

წინამდებარე ტექსტი სწავლობს ევროაზიზმის კონცეპტს. არა იმდენად მის წარმოშობასა და ისტორიას, არამედ მის შინაარსობრივ ვარიაციებს. ამას ვაკეთებ ორ ძირითად ნაწილად. პირველ ნაწილში ევროაზიურ იდეასთან ერთად განვიხილავ მის მონათესავე კონცეპტებს. ამ გზაზე დაისახება რამდენიმე კერძო თემა, რომელთა შორისაცაა „კიევის

რუსეთი“; როგორც სიმბოლო, „მესამე რომი“ და „პოლიტიკური ჰესიქაზმი“¹ მეორე ნაწილი სწორედ ამ სამი თემის ისტორიულ-თეოლოგიურ გაშლას ეთმობა.

1. ზოგადი თემები

1.1. 2020 წლის ცვლილებები რუსეთის კონსტიტუციაში

რუსეთის თეოპოლიტიკური აზრის თანამედროვე მკვლევარი ქრისტინა შტიოკლი ერთგან განიხილავს რუსული ორთოდოქსიის პოსტ-საბჭოთა რელიგიიდან ნაციონალურისაკენ წანაცვლებას და გამოყოფს შემდეგ მუხლებს:

1. ჯერ კიდევ 2000 წელს ეროვნულ ჰიმნში ჩნდება ფრაზა, „რუსეთი, ჩვენი წმინდა სახელმწიფო (держава/кράτος, იმპერია²) ... ღვთივ-დაცული მშობლიური მიწა.“ ეს ფრაზა ერთ-ერთი საღვთისმსახურო ტექსტის ადაპტირებაა.
2. 2020 წელსვე კონსტიტუციას ჩაემატა პარაგრაფი რუსეთის ათასწლოვანი ისტორიის, ღმერთის რწმენის წინაპრებისეული გადმოცემისა და სახელმწიფოებრივი უწყვეტობის შესახებ (§67-1,2).
3. რუსეთის ტერიტორიაზე რუსულივე ენა სხვადასხვა ხალხებისა თუ კულტურებისაგან ქმნის სახელმწიფო-მაფორმებელ ერთ ხალხს (§68).
4. კულტურულ-ცივილიზაციური განსაკუთრებულობის გამოსაკვეთად ჩაემატა მუხლები ქორწინების, როგორც მამაკაცისა და დედაკაცის კავშირის (§72,1) და ტრადიციული საოჯახო ფასეულობათა შენარჩუნების (§114,1) შესახებ.

სწორედ ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით შტიოკლი ასკვნის შემდეგს:

მოსკოვის საპატრიარქოს მიერ ინიცირებული ამ ოთხი თემის 2020 წლის კონსტიტუციაში ასახვა პოსტ-საბჭოთა რუსული ორთოდოქსული ხანის დასასრულს მოასწავებს. [...] ცივილიზაციის აღმნიშვნელი ტერმინი ‘რუსული სამყარო’ ძირითადად [...ეთნო-ლინგვისტური...] ნაციონალური სახელმწიფოს იდეას უპირისპირდება. [...] კონსტიტუციასა და რუსულ ეროვნულ ჰიმნში ‘ღმერთისა’ და ოჯახის ტრადიციული ღირებულებების შესახებ მუხლების ჩამატება უნდა გაიგებოდეს, როგორც სახელმწიფოს მიერ, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების ინტერნაციონალურ სტანდარტებთან

1 ედიშერ ჭელიძე ამგვარად განმარტავს ამ ტერმინს, „ბერძნულად *ἡσυχία* (ლათ. *quies*) ძველ ქართულად ითარგმნებოდა, როგორც ‘დაყუდება’, ‘მყუდროება’ ეს უკანასკნელი დადასტურებულია ‘პავლეთა’ უადრეს რედაქციებში (“მყუდროებით” იქმოდიან”, II თეს. 3,12). XI ს-ის მიწურულიდან ეს ტერმინი თანდათან ერთადერთი ხდება. შესაბამისად ბერძნული სიტყვის ‘ესიქასტის’ (ἡσυχαστής) შესატყვისად ბატონდება ‘მემყუდროე’ (ნაცვლად აღრიხდელი ‘დაყუდებულისა’). ამის ნიმუშები აურაცხელია. მაგალითად: ‘არა უწყის მემყუდროემან...’ (წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, A-39,41 v): ‘...თხოზათა ზედა მემყუდროეთა’ (იქვე, 43 v); ჰესიქასტების სამოღვაწეო ადგილი ‘ჰესიქასტერიონი’ ითარგმნებოდა, როგორც ‘სამყუდროო’ (იხ. იქვე 15 v)“ (გრიგოლი პალამა, წმინდა მთის ტომოსი მემყუდროეთა შესახებ, თარგმანი ედიშერ ჭელიძისი, http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=166%3A-1-2-&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&dlang=ka 10.09.2020). სიტყვა „ისიქაზმი“ (ἡσυχασμός) ალბათ გამოსულია რუსულიდან და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახალბერძნულიდან. თანამედროვე ქართულ თეოლოგიაში იყენებენ ორივე (ჰესიქაზმი, ისიქაზმი) ვარიანტს (ზოგჯერ ისიხაზმსაც).

2 სიტყვა-სიტყვით: ძალა, ღონე, პერობა/ჭერა და ნაწარმოები სა[მ]პერობელო.

შეპირისპირებად და მეორე მხრივ, ნაციონალური საკანონმდებლო (ლევალური) სუვერენიტეტის (დამოუკიდებლობის) გამოსაკვეთად (Kristina 2020).

მაშასადამე, ეკლესიის გავლენით კონსტიტუციაში ჩნდება შემდეგი მიმართებები:

1. რუსეთი ათასწლოვანი იმპერია ე. ი. კიევის რუსეთის ორგანული გაგრძელებაა, 2. მართლმადიდებლობა და რუსული ენა ნაციონალური სახელმწიფოს მაწარმოებელი ელემენტებია, 3. რუსეთი განსხვავებულია – თუ არა დაპირისპირებული – დანარჩენ სამყაროსთან, რადგან წარმოადგენს დასავლურ-აღმოსავლურ გაყოფილობაში რაღაც „მესამე გზას“.

ამ ცვლილებებს თავის წინაპირობები ჰქონდა. სხვაგან შტიოკლი გვიან-ბიზანტიას პოსტ-საბჭოთა ვითარებას უდარებს. თუკი პირველი ისიქასტური/ჰესიქასტური თეოლოგიის (ამაზე ქვემოთ) საფუძველზე დაუპირისპირდა დასავლურ სქოლასტიციზმსა და ჰუმანიზმს, ანუ რაციონალურობას, პოსტ-საბჭოთა რუსული ორთოდოქსია დასავლურ სეკულარიზმს, ლიბერალიზმსა და კაპიტალიზმს ეპაექრება (Stoeckl 2010, 126). თუკი პრეზიდენტ ბორის ელცინის პერიოდში დამუშავებული და 2000 წელს ოფიციალურად გამოსული „რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალური სწავლების საფუძველები“³ მიესალმებოდა (როგორც შემდგომში გამოჩნდა, თვალთმაქცურად) რუსული ორთოდოქსიის ნაბიჯებს თანამედროვეობის სეკულარული პოლიტიკური წესწყობილებისაკენ, უკვე 2009 წლისათვის გამოიცა მონოგრაფია, რომელიც ამ დოკუმენტს განმარტავს, როგორც ლიბერალური პოლიტიკისადმი ეკლესიის ოპოზიციას: „რუსული სახელმწიფოს ლიბერალიზაციის, დემოკრატიზაციისა და სეკულარიზაციის სოციალური დოქტრინა რუსულივე მართლმადიდებლური ეკლესიის ოპოზიციონერობას ათვალსაჩინოებს“ (Stoeckl 2010, 130-131). შტიოკლისავე განმარტებით, ინტერპრეტაციაში მსგავს გარდატეხას ჰქონდა „შანტაჟის ხასიათი“.

დღევანდელ რუსეთში, ისევე, როგორც ექვსასი წლის წინ ბიზანტიის იმპერიაში, მართლმადიდებლური ეკლესია დასავლეთისა და მისი სეკულარული ფასეულობების ერთადერთი ორგანიზებული ოპონენტი. [...] სეკულარიზაციის გზაზე რუსეთის მსვლელობის გაგრძელებისას ეკლესიამ შეიძლება... მოუხმოს ხალხს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ (Stoeckl 2010, 129).

ალბათ რუსეთის მთავრობა ერთბაშად ან საერთოდ არ დაჰყოლია ამგვარ გამოძალვას და პირიქით, ეს პროცესი არსებული ხელისუფლების ინიცირებულიც კი შეიძლება იყო. მაგალითად, ზოგი მკვლევრის მიხედვით, პოსტ-საბჭოთა რუსული იდენტობა კრიზისშია და ამის ასახვაა პუტინის ამბივალენტური დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ (Evans 2008, 899-90). ამასთან,

პუტინის მოქმედებები განსაზღვრული იყო ფასეულობებითა და ხანგრძლივ-მიზნურობით რომელთა კონტურებიც გაპრეზიდენტებამდეც ჰქონდა უკვე მოხაზული [ანუ რუსული იდენტობის ძირითადი მახასიათებლები წინასწარ ჰქონდა შერჩეული]. იგი ეძიებდა, გარდაესახა (მსოფლიო – იხ. გვ. 903, 908; ინტერნაციონალური – იხ. გვ.

3 *Основы социальной концепции Русской Православной Церкви*, <https://mospat.ru/ru/documents/social-concepts/> <http://www.patriarchia.ru/db/text/419128.html> (10.09.2020)

907) სინამდვილე თავისი ღირებულებებისა და მიზნების მიხედვით. [...] თანამედროვე რუსეთისათვის სწორედ პუტინის აზროვნება აყალიბებს იდენტურობის ძირითად მახასიათებლებს [...] საკვებით ნათელია, რომ პუტინის მიდგომა ზუსტად ერგება სახელმწიფო-დომინანტური განვითარების ტრადიციას (იქვე, 901- 903).

ეს მცირე ნიუანსი მნიშვნელოვანია. შეიძლება, შტიოკლს, ისევე, როგორც უმრავლეს დასავლელ მკვლევარსა თუ პოლიტიკოსს, არ სურს სირღმისეულად დაინახოს რუსული ვითარება. ისინი პოზიტიური დღის წესრიგის განვითარებისათვის მუდამ იტოვებენ ხელჩასაჭიდს⁴. არადა, თუ დავუშვებთ, რომ შანტაჟი თავად პუტინის ინიცირებულია, მაშინ გამოვა, რომ მას, პუტინს, საკაცობრიოს საერთოისტორიული კონცეპტის რევიზირობა განუზრახავს. მას ამ კონცეპტში შეაქვს რუსეთის განსაკუთრებულობის შტრიხი. ანუ რუსულ სახელმწიფოსა და მართლმადიდებლობის ურთი ერთობა განსაკუთრებულ სახეს იღებს და განსხვავდება თვით ბიზანტიური მოდელისაგან. ჩემი ვარაუდით, თუკი ბიზანტიაში, რომლის მემკვიდრედაც განიხილება ხოლმე რუსეთი, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ძნელად, მაგრამ მაინც ნარჩუნდებოდა წონასწორობა, რუსეთში მართლმადიდებლობას ჰქონდა (ან, შეიძლება სულაც არ ჰქონდა — ამაზე იხ. ქვემოთ) მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესების მოსამსახურე როლი. ამ ვარიანტს განვიხილავ ქვემოთ. მაგრამ ჯერჯერობით რაც ზედაპირზეა, არის ის, რომ ეკლესიისმიერი პოლიტიკის⁵ ცვლილება კონსტიტუციაში აისახა.

1.2. ევრაზიის კონცეპტი

მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულების მსოფლიო თუ სამოქალაქო ომებმა, რევოლუციებმა და დიდმა ემიგრაციამ ხელი შეუწყო ევრაზიული (რუსეთი-ევრაზია) მოძრაობის წამოწყებას. თავად კონცეპტის იდეურ წინამძღვრებად განიხილება სლავოფილური შეპასუხება პოლონელი მწერლის, ფრანცისკ დუხინსკის (Franciszek Duchinski 1817–1880) დეკლარაციაზე. დუხინსკის მიხედვით რუსეთს არაფერი აქვს საერთო ევროპასთან და რუსები არიან მონღოლური (თურანული), არაარიანული⁶ ტომების ნაზავი ავტოკრატი-

4 მეცნიერთა თუ პოლიტიკოსთა ამგვარი „თავშეკავებისას“ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც, „გაუძლებს თუ არა რუსული სახელმწიფო ცდუნებას წამოიწყოს დასავლეთის მიმართ უფრო მეტად აგრესიული კონტრშეტევა, დამოკიდებულია არა მხოლოდ რუსეთის შიდა პოლიტიკურ დინებებზე, არამედ დასავლეთის მთავრობების არჩევნებზეც“ (Evans 2008, 910). ფაქტია, რომ ევანსის ეს ნაშრომი 2007 წელსაა დაწერილი და შემდგომი დეკადნახვერის დასავლეთის მთავრობების მიშვებულობის ფონზე რუსეთის თავზეხელაღებულ პოლიტიკას სწორად წინათგრძნობს. ევანსი იმასაც მიუთითებს, რომ პუტინი ერთბაშად არ ავლენს თავის იდეოლოგიას. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლმადიდებლობის იდეოლოგიად დასახვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც შიდა თუ გარე პოლიტიკური ვითარებები ამის შესაძლებლობებს თუ საჭიროებას დასახავს. ასე გამოვიდოდა, რომ თავისთავად მართლმადიდებლობა არაა ინიციატორი, არამედ სახელმწიფო საჭიროებებია პირველადი. ხოლო მართლმადიდებლობა ამ საჭიროებათა შესაბამისად მოიხმობა ან განიდევნება, როგორც ეს საბჭოთა დროს მოხდა – განსაკუთრებით სტალინის იდეის შემთხვევაში – გადმოეტანა მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრი სსრკ-ში (ამაზე ქვემოთ).

5 თავად ტერმინი „ეკლესიისმიერი პოლიტიკა“ უხერხული ნეოლოგიზმია, მაგრამ ის აუცილებლად მეჩვენება იმისათვის, რომ სიცხადე იყოს „საეკლესიო პოლიტიკის“ ცნებაში. ეს უკანასკნელი შეიძლება ნიშნავდეს, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე ეკლესიის მხრიდან გატარებულ პოლიტიკას.

6 არიანელობა, არიოზელობა — მიმდინარეობა, წარმოშობილი ქრისტიანულ ეკლესიაში IV-VI საუკუნეებში. საფუძველი ჩაუყარა 318 წელს ალექსანდრიელმა ხუცესმა არიოზმა. წინააღმდეგ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის დოგმისა, რომლის მიხედვითაც ძე ღმერთი (იესო ქრისტე) მამა ღმერთის ერთარსი

ული მმართველობითა და ცარატიტ (ცარ – მეფე), რომლისაგანაც მცირე რუსეთისა (უკრაინა) და „თეთრი რუსეთის“ (ბელარუსი) ხალხმა პოლონურ სახელმწიფოსთან ერთად უნდა დაიცვას დასავლეთ ევროპა (Базавлук 2020, 258). თუმცა ევრაზიანელობა მაინც არაა სლავოფილობის პირდაპირი გამოვლინება. ევრაზიანიზმის ფენომენი უფრო ემიგრაციულია და მომდინარეობს განცდიდან, რომ დასავლეთმა 1917-21 წლებში უღალატა რუსეთს (Figes 2002, 423).

ევრაზიანელები თავის მისიას ხედავდნენ წარმოსახულ „ახალ ხანაში“, როდესაც არა მხოლოდ რუსეთი, არამედ მთელი დასავლეთი მოიცვა კრიზისმა, რომელმაც ამოწურა თავისი შესაძლებლობები და გახრწნის პირასაა. მას არ სწადია დასავლეთი გადალახოს როგორც მისგან უცხო და უზიარებელმა. არც იმას განიზრახავს, რომ თავად დასავლური ცნობიერებით, ანუ აზრითა და მეთოდებით გააკეთოს ეს. მას სურს არა მხოლოდ ვიწრონაციონალური, არამედ საყოველთაო/კათოლიკე. რუსმა ხალხმა საკუთარ თავში უნდა გადალახოს დასავლელი ადამიანი და იმედოვნებს, რომ ამ გზით იგი (დასავლელი ადამიანი) ზოგადად დაიძლევა. მომავალი ეკუთვნის მართლმადიდებლურ სამართლებრივ სახელმწიფოს, რომელიც შეიძლება, მტკიცე ძალაუფლება (დიქტატურის საწყისი) სახალხო მმართველობასა და სოციალური სიმართლესთან გააერთიანოს. ეს ერთგვარად ნაზიარებია მართლმადიდებლურ დოგმატურობას, სადაც სოციალური სამართლიანობა „მარადიული ფასეულობებით“ განისაზღვრება (Базавлук 2020, 259-260). ეს კი სწორედ ის „ფასეულობებია“, რომელიც რუსული მართლმადიდებლობის მიხედვით აღემატება ადამიანის უფლებებს⁷. მის მიხედვით ადამიანი არის დაცემული არსება. მას თავისუფლება და უფლებები მხოლოდ ღმერთისა და ეკლესიის სამსახურისათვის აქვს მიცემული, რათა თავისი ზეციური მოწოდება განახორციელოს. ისე ჩანს, რომ რუსული „სოციალური კონცეფციის“ ეს მიმართება სწორედ ევრაზიულ განაზრებებს ენათესავება. მაგალითად, ლევ კარსავინის იდეა, „სიმფონიური პიროვნება“ ინდივიდუქვემოესს, ანუ ცალკეულ ადამიანს სიმფონიურ პიროვნებათა პირამიდაში განუსაზღვრავს უდაბლესის, უდამორჩილებულესის მდგომარეობას და წარმოადგენს უქვემოესსა და ყველაზე ნაკლებ საფეხურს. სამყარო კი არის სიმფონიური პიროვნებების იერარქიული ერთობა. სიმფონიური პიროვნება არაა კერძო ინდივიდი, არამედ ოჯახი, საზოგადოებრივი ერთობა, ერი და ა. შ. სწორედ

და თანასწორია, არიანელობის თანახმად, ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად, იგი შემდეგშია შექმნილი ადამიანის მსგავსად. ქრისტეში ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და ადამიანიც, მაგრამ ჭარბობს ადამიანურობა (არიანელობა, არიოზელობა — მიმდინარეობა, წარმოშობილი ქრისტიანულ ეკლესიაში IV-VI საუკუნეებში. საფუძველი ჩაუყარა 318 წელს ალექსანდრიელმა ხუცესმა არიოზმა. წინააღმდეგ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის დოგმისა, რომლის მიხედვითაც ძე ღმერთი (იესო ქრისტე) მამა ღმერთის ერთარსი და თანასწორია, არიანელობის თანახმად, ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად, იგი შემდეგშია შექმნილი ადამიანის მსგავსად. ქრისტეში ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და ადამიანიც, მაგრამ ჭარბობს ადამიანურობა).

7 *Основы социальной концепции Русской Православной Церкви*. IV. Христианская этика и светское право, IV.7: „По мере секуляризации высокие принципы неотчуждаемых прав человека превратились в понятие о правах индивидуума вне его связи с Богом. При этом охрана свободы личности трансформировалась в защиту своеволия. [...] Однако вне Бога существует лишь человек падший, весьма далекий от чаемого христианами идеала совершенства, явленного во Христе («се, Человек!»). [...] Права нужны христианину прежде всего для того, чтобы, обладая ими, он мог наилучшим образом осуществить свое высокое призвание к «подобию Божию», исполнить свой долг перед Богом и Церковью“. <https://mospat.ru/ru/documents/social-concepts/iv/>

ზეინდივიდუალური⁸ თუ წარმონაქმნია სიმფონიური პიროვნება⁹. კერძო ადამიანი არცაა საერთოდ პიროვნება, როგორც ასეთი (Шаповалов 2002, 97-98). „ადამიანის უფლებებზე“ აღმატებულ ფასეულობებზე საუბრობს პუტინიც,

პუტინი ამტკიცებს, რომ რუსეთში აღმოცენებადი მმართველობის ფორმა შეერწყმება საყოველთაო იდეალებსა და „დაუსაბამო რუსულ ფასეულობებს, რომლებმაც გაუძღეს დროს.“ [...] მან გადაჭრით უარყო შემოეტანა „სხვა ქვეყნებიდან აბსტრაქტული მოდელები და სქემები (ერთგან მათ აფთრებადაც მოიხსენებს —იხ. გვ 905)“ (Evans 2008, 903-904).

პუტინის პოზიცია ჩამოჰგავს (თუ არ იმეორებს) კარსავინის „სიმფონიური პიროვნების“ კონცეპტს,

„რუსეთი დასაწყისშივე შეიქმნა სუპერცენტრალიზებულ სახელმწიფოდ. ეს პრაქტიკულად მის გენებში, ტრადიციასა და მისი ხალხის მენტალობაშია ჩადებული.“ პუტინი კოლექტივიზმსა და პატერნალიზმს ასევე მიიჩნევს რუსი ხალხის ტრადიციად (Evans 2008, 903).

თუ როგორაა შესაძლებელი, მრავალთ გაეზიარებინა ამგვარი მიდგომა, ისაია ბერლინს შეეძლო ეპასუხა, „რომ გეკითხა საკუთარი თავისათვის თუ როგორ უნდა იმართებოდნენ დოსტოევსკის გმირები, შენ [ამას] მიხვდებოდი“ (Berlin 1978, xiii).

ვლადიმერ ბაზავლუკი წერს, რომ ევრაზიელების აზრით მართლმადიდებლობა ისეთი მონაცემია, რომელმაც დასავლური შენარევისაგან უნდა დაიცვას მომავლის ადამიანი და საზოგადოება. ამისათვის სტარობრიადებთან (მეძველწესებთან) შეერთებაც კი სასურველია, რომლებმაც შეძლეს, ერთი მხრივ, რევოლუციურად განემხოლოებინათ საკუთარი თავი და, მეორე მხრივ, უბიწოდ დაცულიყვნენ დასავლეთის გავლენისაგან. ამასთან, სტარობრიადული რიტუალური თუ წეს-ჩვეულებითი სიმკაცრე რელიგიური ინტელიგენციისათვის მკაცრად სავალდებულო უნდა გამხდარიყო. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევდა ბუნებასთან სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ორგანული კავშირის გაცნობიერებას, მთელს მატერიკზე გავრცელებადი მასშტაბურობით, „რუსული სივრცულობით“ (Русская широта, რუსული სიფართოვე) და უსასრულობამდე გაფართოებადი ნაციონალური თვითშეგნებით (Базавлук 2020, 259).

ევრაზიანელობა არ იყო სლავოფილობასავით კონსერვატორული თუ კონსერვატორულ-ლიბერალური, არამედ ის წარმოადგენდა რევოლუციურ მიმდინარეობას, რომელიც წარმოიშვა როგორც ფილოსოფიის, მეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობისა და ლიტერატურის სინთეზი (Makarov 2008, 40-1).

სხვა უმრავლესი ემიგრაციული მოძრაობებისაგან განსხვავებით, ევრაზიულ თეორიას დაამუშავებდნენ ნამდვილი მეცნიერები: ეთნოგრაფები, ლინგვისტები, ისტორიკოსები, გეოგრაფები, ფილოსოფოსები, თეოლოგები, იურისტები. ყველანი თავიანთ

8 სიტყვასიტყვით ინდივიდუალს-დამდგარი, ინდივიდს-ზედ-ნაშენი.

9 ფართოდ ცნობილი თანამედროვე თეოლოგი, „ბერძინიზმის“ მართლმადიდებელი აპოლოგეტი ეპისკოპოსი იოანე ზიზულასი საერთოდ არ მიიჩნევს კერძო ადამიანს პიროვნებად. პიროვნებად განვითარების შანსი ადამიანს მხოლოდ ნათლობისას მიეცემა (იხ. Elizabeth T. Groppe, *Creation Ex Nihilo and Ex Amore: Ontological Freedom in the Theologies of John Zizioulas and Catherine Mowry Lacugna*, *Modern Theology* 21:3 July 2005).

სფეროში ცნობილი და აღიარებული სპეციალისტები და ინტელექტუალები იყვნენ. ზოგჯერ ისინი „არაამაქვეყნიერთაგანთ“ ჩამოჰგავდნენ, ოღონდ არანაირად – შარლატანებს. [...] ევრაზიანელობა გამოირჩეოდა თავისებური ინტერდისციპლინურობით... და პატრიოტული გუნება-განწყობით¹⁰ (Базавлук 2020, 254-257).

ევრაზიანიზმი ორ ჯგუფად დაიყო – მემარცხენე, „ბოლშევიზირებულ“ და მემარჯვენე, მონარქისტულ ნაწილებად. პირველის ბაზაზე აღმოცენდა „რუსული ემიგრაციული თავდაცვითი მოძრაობა.“ მან საბჭოთა კავშირის აგრესორებისაგან დაცვა დაისახა მიზნად და ამიტომაც თანამშრომლობდა მასთან. სწორედ ამიტომ მათ ზოგჯერ „სასარგებლო იდიოტებსაც“ უწოდებდნენ. ნაწილი ევრაზიანელი დაბრუნდა კიდევ საბჭოთა კავშირში და, შესაბამისად, მოყვნენ რეპრესიებში (Makarov 2008, 44-46, 56-59).

მიმოხილველები ევრაზიანიზმს ასე ახასიათებდნენ:

ზოგადი ისტორიოსოფიური პრობლემატიკის ნაყოფიერი დამუშავების ახალი ინოვაციური საფეხური, რომელთან მიმართებაშიც მოიაზრებოდა კერძო რუსული საკითხი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კავშირში ანუ რუსული („მესამე“) გზის უნიკალურობა და რუსულივე პოსტკომუნისტური თუ გეოპოლიტიკური მომავალი¹¹. [...] (1) რუსეთის გეოეთნიკური ხასიათი, მისი ადგილგანვითარება (месторазвитие), როგორც ქვეყნის სახელმწიფოდ ჩამომყალიბებელი ფაქტორი, (2) რუსეთი-ევრაზიის პრობლემის დაყენება, როგორც რუსული იდეის გარდაქმნა აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის მისთვის დამახასიათებელი ოპოზიციით, და (3) „წარმმართველი იდეის“, „წარმმართველი ქვეშის“, „სიმფონიური პერსონალურობის“ და „იდეოკრატიული სახელმწიფოს“ მნიშვნელობის აღიარება რუსეთის ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში (Makarov 2008, 47-48).

რუსეთის ისტორიული მისიის გააზრებისას არ ხდება წარსულის რომელიმე საფეხურის თუ გამოვლინების უარყოფა — არც ბოლშევიკურ-კომუნისტურის — არამედ მათი ათვისება რუსულ და ევრაზიულ „ისტორიულ“ ტრადიციაში¹². ამასთან, „იგი ცდილობს შეაწყვილოს აზრი საქმესთან, ხოლო თავის ზღვრულობაში თეორიულ შეხედულებათა სისტემასთან ერთად მიდის მოქმედების გარკვეული მეთოლოგიის წინ წამოწევამდე“ (Базавлук 2020, 256).

„ადგილ/სივრცეგანვითარების“ იდეა ფრიად მნიშვნელოვანია¹³. ასეთივეა დემოკრატიული წესწყობილების ჩანაცვლებადობა იდეოკრატიული, ერთ-კერძო-იდეა-მმართველობითი (პოტენციურად „პრავოსლავური“) წყობით. ამას ემატება „დემოტია“, ანუ სახელმწიფო წყობა, სადაც ძალაუფლება ეკუთვნის ორგანიზებულ, შეკრულ და მკაცრად დისციპლინირებულ ჯგუფს („თანასწორთა შორის უფრო თანასწორთ“?), რომელიც ამ ძალაუფლებას

10 მსგავს პოზიციას გაიმეორებს ქრისტო იანარასი, თანამედროვე ბერძენი ფილოსოფოსი, მართლმადიდებლური ბერძენიზმის „მოყავისფრო რუპორი“.

11 ტრადიციის ესქატოლოგიური ანუ მომავალ-ცენტრული გააზრება თითქოს ხდება თანამედროვე მართლმადიდებლურ თეოლოგიაშიც, რაც, სიცარიელე რომ არა ვთქვა, ყალბი პოზიციონირებაა გაკერპებული ბიზანტიური ტრადიციის გამართლების მიზნით. ამ სიცარიელობის დასტურად მისი ევრაზიანისტულ ფანტაზიებთან ნათესაობაც გამოდგება.

12 რაც არის კიდევ სახეზე პუტინის მიერ განხორციელებად „რუსულ იდეაში“.

13 თავად საბჭოთა კავშირი თავს მოიაზრებდა როგორც „ღია საზღვრების“ მქონედ, ანუ ნებისმიერ „მსურველს“ შეეძლო მასში გაერთიანება (ზღრ. პუტინის გამონათქვამიც, „რუსეთს არ აქვს საზღვრები“).

იყენებს მასების საჭიროებისამებრ¹⁴. ამასთან, რუსული ისტორია არანაირად არ მიიჩნეოდა ევროპის ისტორიის ნაწილად — „ასე ვთქვათ, „ჩამოკიდებული იყო ჰაერში“: მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ თავად სახელმწიფო მართლმადიდებლური დოგმატიკის შეფერილობით აღიქმებოდა. ესქატოლოგიური, ანუ ეკლესიის სამყაროს დასასრულ-მიღმიერი განზომილება გადასწვდებოდა სახელმწიფოსაც, „[სახელმწიფო] თავის მომავალი მსოფლიური მოწოდების ესქატოლოგიურ მისწრაფებებში აღწევს მეტაისტორიულსა და მეტალოგიურ სფეროს“ (Базавлук 2020, 263).

წამოიჭრა გეოგრაფიულ სივრცის „ფონეტიკური ერთობის“ თემაც¹⁵ (Makarov 2008, 49-50).

ევრაზიანელების მიერ რუსული სამყარო აღიქმებოდა, როგორც მართლმადიდებლური ეკოსისტემა, რუსეთი-ევრაზია. [ის აღიქმებოდა] არა მხოლოდ თურქული და სლავური ხალხების, არამედ ამ სივრცეში გავრცელებული ისტორიული რელიგიური შეხედულებების სიმბიოზად (Базавлук 2020, 257).

აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ევრაზიელები რუსულ მოსახლეობას ანუ რუსებს არ აღიქვამდნენ მხოლოდ სლავებად: „რუსი ხალხი უნდა ამყობდეს თავის თურანული ფესვებითაც“. მართალია, რუსეთი იწყება კიევის რუსეთიდან, მაგრამ არ უიგივდება მას, „თათრობის გარეშე ვერ იქნებოდა რუსეთი, რომელიც მისი წინამორბედი კიევის რუსეთით ისტორიულად იყო შემზადებული“ (Пушкин и Шапошников 2017, 5-6).

ნიკოლოზ ბერდიაევი ევრაზიანიზმს სექტას უწოდებდა, რომელიც ლამობდა რუსულ-ორთოდოქსული ყოველდღიური რუტინის აღდგენას. იგი ბოლშევიზმსაც სექტად განიხილავდა და ორთავეს შეკეტილობას ამუნათებდა. ხოლო თავად რუსულ იდეას განიხილავდა, როგორც უნივერსალური განზომილების მატარებელს, ალბათ ყოვლადმსოფლიო¹⁶ ბიზანტიის პრეტენზიის კვალდაკვალ¹⁷. ხოლო უკვე ლევ გუმილიოვთან და ალექსანდრე დუგინთან სახეზეა ნეოევრაზიანიზმი და „მესამე რომის“ იდეასთან მისი მორგება (Makarov 2008, 52, 59-60). გუმილიოვმა განავითარა პასიონარული (შევენებული¹⁸, შეპყრობილ-აღვზნებითი) ეთნოგენეზისის თეორია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთ მოცემულ ტერიტორიაზე თუ ლანდშაფტზე სხვადასხვა ეთნოსები თანავითარდებიან და ქმნიან ერთ

14 ცხადია ეს ჯგუფი მსგავსია პოლიტიუროსი, სინოდის, ნაცისტური შტაბის, ქურდულ-განაბური ელიტის და ა.შ.

15 ასეთ რაიმეს მერაბ მამარდაშვილი უწოდებდა „ისტორიიდან ამოხტომას“, რომელიც ოქტომბრის რევოლუციით განხორციელდა.

16 მართალია რუსული всемирный უბრალოდ მსოფლიოს ნიშნავს, რუსული ევრაზიანისტულ კონტექსტში სუფიქს „все“ „ყოველი“-ზეც ხდება აქცენტირება. ანუ არა უბრალოდ ის მსოფლიოა, არამედ მთელი მსოფლიო. ამით ისინი ხაზს უსვამენ, რომ აუცილებლად მთელი მსოფლიოს, და არა მხოლოდ მსოფლიოს რამე ნაწილის, მოცვაა მიზანი. ეს ასეა რადგან, მსოფლიო განზომილება ცალკეულ ქვეყანასაც შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, საქართველო არის მსოფლიო მოვლენა, თუმცა ის თავის საზღვრებში ნარჩუნდება. ნებისმიერი პიროვნება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობისაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ერთს უნდა დაექვემდებაროს ყველა. ევრაზიული მთელ-მსოფლიურობა კი სწორედ ამგვარი დაქვემდებარებულობის იმპერიული ინერციისაა.

17 ამ ორი იდეის შემდეგი ნახტომისათვის საზღვარ-გარეშე შეკეტილ-ძალთა-კონცენტრირების და ზოგად-მსოფლიოდ გავრცელების „რუსული იდეა“ გადაიკვეთნენ უკვე პუტინის ხანაში.

18 ტერმინი „შევენებული“ ბერძნული ἐμπνεόμενος-დან მომდინარე ფართოდ გამოყენებული საღვთისმეტყველო ტერმინია

ხალხობრივ¹⁹ მოცემულობას. დუგინი მთელი რუსეთის გეოპოლიტიკურ მისიაზეც საუბრობს, რომელიც მთელი კონტინენტისათვის სასარგებლოა. მსგავს პოზიციაზე დგანან ევრაზიანიზმის სხვა მკვლევრებიც (Базавлук 2020, 254).

1.3. „წმინდა რუსეთი“

სერგეი ავერინცევი ბიზანტია-რუსეთის ურთიერთობაში ყურადღებას ამახვილებს ერთ მნიშვნელოვან მხარეზე, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლება ყველაფერში, მაგ. ავაზაკთა სიკვდილის დასჯა, რომელსაც რომაულ-ბიზანტიური კანონის თანახმად ითხოვდნენ ბერძენი ეპისკოპოსები — არ დაჰყვა ბიზანტიელ საერო თუ სასულიერო მთავრებს (Аверинцев 2018, 228). თუმცა თავად რომის იმპერიისა თუ ბიზანტიის (და შესაბამისად კიევის რუსეთის), ანუ სახელმწიფოს საკრალურობა ეჭვს არ დაქვემდებარებია — სახელმწიფო განკაცებული ღმერთის ადამიანური ბუნების საკრალურობას გამოსახავდა. ამას თან სდევდა ებრაელთა ერის საკრალურობაც, რომელიც იმემკვიდრა ქრისტიანობამ. ბიზანტიელისათვის რომ-ბიზანტიის მიღმა სამყარო არცაა სამყარო, ქვეყნიერება და არსებობს მხოლოდ ქაოსი და „ბნელი გარესკნელისა“, რადგან „ორერთობა²⁰ რომის იმპერიისა და ქრისტიანული ეკლესიისა არის კიდევ სამყარო“. არსებობს ერთი ერი, „რომი“, როგორც ამას ბიზანტიელები უწოდებდნენ საკუთარ თავს, ხოლო ყოველგვარი ნაციონალური თვითგამორკვევა ხასიათდებოდა ერესად (მაგ., სომხები, სირიელები, კოპტები, ეთიოპელები). მათთვის კონსტანტინოპოლი არ განეკუთვნებოდა არც აზიურ და არც ევროპულ სამყაროს. ის აღიქმებოდა როგორც ევრაზიული და იყო კიდევ სამყარო თავისთავად (Аверинцев 2018, 232-237). მაშასადამე,

1. მთელი სამყარო არის ოიკუმენე (ბერძნულად, დასახლებული დედამიწა) და თანხვედრა მართლმადიდებლურ იმპერიას: „რუსული სახელმწიფოს წარსულსა და აწმყოში მართლმადიდებლობის როლის ევრაზიული ინტერპრეტაციები რუსული ინტელიგენციის თეორიულ ძიებებს ახასიათებენ“ (Базавлук 2020, 256).
2. ქრისტიანობა არის ახალი რჩეული/საკრალური ერი — მართლმადიდებელი ერი, მოსახლე სამყარო-იმპერიაში.
3. კონსტანტინოპოლი თავადაა სამყარო და დასავლეთ-აღმოსავლური გამიჯნულობის მიღმაა — ის ევრაზიაა.²¹

აქ იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი. უკვე ვთქვე, რომ ევრაზიელი მოაზროვნეებისათვის რუსეთი არის კიდევ ევრაზია, ევროპა-აზიის წყვილში მესამე ელემენტი: ევროპა-ევრაზია-აზია. ამას ემატება ისიც, რომ მართალია ევრაზიელებისათვის მონღო-

19 მოუხეშავი ნეოლოგიზმი „ხალხობრივი“ და არა დადებითი „სახალხო“ ვარჩიე ცნობილი რუსული იდეის, „ხალხოსნობის“ დუგინის იდეებთან ასოცირებისათვის

20 ეს ტერმინიც ჩემი ნეოლოგიზმია *двуединство*-ს შესაბამისი. მაგ., *триединство*-ს ხმარობენ წმინდა სამეზასთან მიმართებაში. მას ვიყენებ ხოლმე „სამერთობად“:
<http://liberali.ge/blogs/view/6183/salome.ge>
https://www.academia.edu/28538738/გრიგოლი_ნოსელი_მატერიის_შესახებ
 ასევე იხ. http://www.tafu.edu.ge/webmill/data/file/disertacia_tamar_tsagareli.pdf

21 აქ შეიძლება დამატებოდა ის, რაც მოსკოვის დიდ კნიაზს (თავადს ან მთავარს), ვასილი პირველს კონსტანტინოპოლელმა პატრიარქმა მისწერა, „შეუძლებელია ქრისტიანისათვის ჰქონდეს ეკლესია და არა ჰქონდეს სამეფო“ (Аверинцев 2018, 240).

ლურმა უღელმა რუსეთი ნაწილობრივ იზოლაციაში მოაქცია, მაგრამ ეს არ აღიქმებოდა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად, მით უმეტეს, რომ დასავლეთიდან მაინც აღწევდა „მავნე“ გავლენა. მეტიც, სწორედ მაშინ იქმნება რუსეთი თავის დანიშნულებისამებრ, როდესაც არა უბრალოდ კიევური „რუსული მიწების შემოკრება“ (собрания русской земли) ნარჩუნდება მიზნად, არამედ იგი გარდაისახება „თათრული მიწის შემოკრება“-დ (собранию земли татарской) (Пушкин и Шапошников 2017, 5-7). მაშასადამე, რუსეთმა ბიზანტიისაგან იმემკვიდრა კიევის რუსეთის სიმბოლო, სამყაროსეული განზომილება და ოქროს ურდოსაგან – გეოგრაფიული ლანდშაფტი, სადაც უნდა ხორცშესხმულიყო ხსენებული სიმბოლო და საიდანაც უნდა დაწყებულიყო მთელ-მსოფლიოსაკენ²² გადაწვდომა. ეს საყოველთაო განზომილება არის კიდევ რუსული მისია და, როგორც ბერდიაევი იტყოდა, „ისტორია სინამდვილეში არის ბილიკი სხვა სამყაროსაკენ. ამ გაგებით მისი შინაარსი არის რელიგიური“. მართალია, ისტორიული კვლევები მკაცრად მეცნიერული საქმიანობაა, მას მაინც შეერთვის მცირე მითისა თუ მეტაფიზიკის საფუარი. თუმცა, – შენიშნავს ჰეინრიხ სტამლერი, – ამგვარი საფუარი ადრე თუ გვიან ფაქტების გაყალბებასაც გამოიწვევს²³ (Stamler 1958, 95-96). მითის როლს კი ასრულებს კიევის რუსეთი, ხოლო მეტაფიზიკური განზომილება ესქატოლოგიური „ღვთის სამეფოა“. ამრიგად, რუსეთის ისტორიული მისიაა წარმართოს კაცობრიობა „ზეცათა სასუფეველისაკენ“ .

რაც შეეხება „წმინდა რუსეთს“ ის ეკვივალენტურია დასავლურ ენებში არსებული ტერმინებისა: ლათინური christianitas, ფრანგული chretiente, გერმანული Christenheit, ინგლისური Christendom.

წმინდა რუსეთი თითქმის კოსმიური კატეგორიაა. სულ მცირე, მის საზღვრებში (მის „საზღვარ-გარეშეობაში“) მოიცვება ძველალექსური ედემი და სახარებისეული პალესტინა. [...] წმინდა რუსეთს აკლია ლოკალური აღმნიშვნელი. მას მხოლოდ ორი მნიშვნელობა აქვს: ამ აზრით არის მთელი სამყარო, მომცველი სამოთხის და არის სამყარო ჭეშმარიტი სარწმუნოების ნიშანქვეშ. [...] ერთადერთი საფუძველი თეთრი, ანუ ჩვენი მეფისა არის ქრისტიანი მეფე. ხოლო რადგან დღის სინათლეზე (მსოფლიოში) არ არსებობენ სხვა ქრისტიანი ხელმწიფენი, მისი (თეთრი მეფის) უპირატესობანი უკიდურესად აღზევებულია: „ჩვენ გვყავს თეთრი მეფე, მეფეთა მეფე“ (Аверинцев 2018, 238-240).

ამ „თეორიის“ საფუძველი „თეთრი მეფის“ რუს ძველმესტილეთა („სტარობრიადულ“) ფოლკლორულ წარმოსახვაშია. ამ წარმოსახვის მიხედვით ღმერთის სამეფო სადღაც რუსულ მიწაშია, სადაც ხელმწიფებს თეთრი მეფე და ამ სამეფოს ეკლესიების ზარი მხოლოდ ბერებს თუ ესმის და სწორედ ეს მეფე არის ჭეშმარიტად წმინდა და მომავლის საყოველთაო (Figs 2002, 308).²⁴

22 „მთელს მსოფლიოზე“ არაა რაც მთელ-მსოფლიოსაკენ. ანუ რუსი მონისტისათვის მთელი მსოფლიო მთელ-მსოფლიოა, მონადაა, რომელმაც უნდა ჩაყლაპოს ინდივიდი. ამასთან ეს „სკენ“ არის ესქატოლოგიური ტერმინი. ანუ, ღმერთი ვერ მიიღწევა, სრული ერთობა მიუღწევადია, რადგან მსოფლიო ესაა ღმერთის ლოგოსის, იესოს ტანი. ხოლო კაცობრიობა ესწრაფვის მას. მისკენ მიდის — არის მასში და მისკენ მიდის. ამას ეწოდება ეპექტასისი — გადაწვდომა, გადაჭიმვა, გადაწევა რალაცისაკენ.

23 ამის ცხადი მაგალითია პუტინის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ისტორიების „ინტერპრეტაცია“.

24 „თეთრი მეფის“ იდეა 2000-5 წლების საბერძნეთის ეკლესიაში ფრიად ინტენსიურად იქადაგებოდა და მე თავად მომიწია ამ იდეასთან პირისპირ შეხვედრა. იგივე განმეორდა შეერთებულ შტატებშიც, როდესაც

ავერინცივი მრავალმხრივად და დამაჯერებლად განიხილავს „მესამე რომის“ იდეასაც. ის ბიზანტიური, კონსტანტინოპოლი – ახალი რომის იდეის, რომელიც, თავის მხრივ, ტროას მითო-სიმბოლური, ევრო-აზიული იდეის გადამუშავებაა, გავრცობაა მოსკოვზე და უკავშირდება „თეთრი მეფის ძალაუფლებას „მთელს მიწასა და ქვეყნიერებაზე“ (იქვე 241-242).

ჰაინრიხ შტამლერი აკრიტიკებს ბრიტანელი ისტორიკოსის, არნოლდ ტოინბის (Arnold J. Toynbee) ჩემთვის სავსებით მისაღებ შემდეგ მოსაზრებას,

ამ ბიზანტიურ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ეკლესია შეიძლება იყოს ქრისტიანული ან მარქსისტული მანამ, სანამ ის სეკულარული მთავრობის იარაღადაა გამოსადეგი. [...] ნამგლისა და უროს ქვეშ ისევე, როგორც ჯვრის ქვეშ, რუსეთი კვლავ „წმინდა რუსეთი“ და მოსკოვი ისევ „მესამე რომია“ (Stamler 1958, 101).

ამ მოსაზრების ფაქტად აღიარებაცაა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ მართლმადიდებლობას ნამდვილად მიუძღვის წვლილი ნაციის ჩამოყალიბებაში (Stamler 1958, 102-103), მთავარი მაინც სახელმწიფოს ძალაუფლება და მისი თავისთავადი საკრალურობა, ანუ მითურ-მეტაფიზიკური განზომილებაა. თუმცა, ცხადია, ეს მაინც კერძო მოსაზრებაა. შევეცდები, გავამყარო ეს ვარაუდი.

თვალნათელია თანამედროვე რუსეთის მიერ კონცეპტ „რუსული სამყაროს“ წინ წამოწევა, რომელიც გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან (რმე) შიდა თუ საგარეო სფეროში. პოსტ-საბჭოთა სივრცეში რელიგიას თითქოს უნდა ჩაენაცვლებინა კომუნისტური იდეა, მაგრამ მან ეს მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა. თუმცა „უკანასკნელ ათწლეულში რმე-მ განიზრახა საერთაშორისოდ გაეზარდა თავისი სტატუსი“ (Laine 2019, 195-196). თუმცა, ეს მაინც არ იყო სრულიად უცხო მოვლენა, რადგან უკვე საბჭოთა პერიოდში ეკლესია და საზღვარგარეთ არსებული რუსულ-მართლმადიდებლური ცენტრები გამოიყენებოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მაგრამ ახლა საჭირო გახდა ისეთი კონცეპტისა და მის ბაზაზე იმგვარი პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც, ერთი მხრივ, „თანამემამულე“ ანუ „საბჭოელი“ და მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ჯგუფებიც მოეცვა²⁵. ამისათვის გამოიყენება რუსული სამყარო, რადგან ის უფრო მომცველი ტერმინია, ვიდრე რუსული ენა. ხოლო რუსული სამყარო თითქოსდა „წმინდა რუსეთის“ იდენტურია (ან სინონიმია) მაგრამ მაინც აღემატება მას და გულისხმობს „რუსულ მენტალიტეტს“ თუ „რუსულ ლანდშაფტს“. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ „რუსულ სამყაროს“, მართალია, დასავლეთში რუსულ-მოლაპარაკეთა²⁶ ქსელის, „რუსული არქიპელაგის“ მნიშვნელობა აქვს, მას მაინც არ გააჩნია „მყარი და არსობრივი შინაარსი“. მისი მოცულობა მიწყივ ფართოვდება და ცდილობს დაიტოს „რუსულ მიწათა კვლავ-შე-

საც ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მომიწია მე, როგორც „მართლმადიდებელ თეთრ მეფეზე“ აუგის მთქმელს, საყვედურის მოსმენა.

25 იხ. აგრეთვე *Государство, религия, церковь в России и за рубежом*, 1 2017 [35], Международный институт государственной службы и управления РАНХиГС при Президенте РФ, 2017, გვ. 147-215.

26 აქ ვასხვავებ „რუსულენოვან“-ს და „რუსულად მოლაპარაკე“-ს. ზოგან ისე ჩანს, რომ ევრაზიულობის მიხედვით რუსები თავს უნდა ივრცელებდნენ ყველაზე, ვინც რუსულად რალაცნაირად მაინც მეტყველებს. მაგ. რუსულად ლაპარაკობენ ქართველები მაგრამ ისინი ქართულენოვანი არიან და არა რუსულენოვანი.

მოკრებაცა“ და ირედენტულ-იზოლაციონისტური პოლიტიკის, როგორც მოდერნულობის არადასავლური მოდელი²⁷ (Laine 2019, 198).

სლავოფილურ-ევრაზიანისტული „განსაკუთრებულობა“ და იზოლაციონიზმი აქ კვლავ ვლინდება. ისიც აშკარაა, რომ ორთოდოქსული ელემენტი მაინც ცივილიზაციურია (Laine 2019, 200) და არა თავისთავად ცალკე აღებული. ის სამსახურში უდგას უფრო ფართო მოვლენას. ესაა თითქოს ბიზანტიური სიმფონიის იდეა, მაგრამ „რუსული სამყარო“ მაინც თავისთავადია და თან გარდასახვადი. სულაც არაა გამორიცხული, რომ რაღაც მომენტში ორთოდოქსული შიგთავსი სრულად ჩანაცვლდეს. სერგეი ავერინცევი სწორედ ამგვარი მინიშნებით ასრულებს ზემოგანხილულ ტექსტს: რუსული გზა არაა უბრალოდ ბიზანტიურის გაგრძელება და გამეორება — „У нас все складывалось по-иному / ჩვენში ყველაფერი სხვაგვარად ეწყობოდა...“ (Аверинцев 2018, 246).

ვფიქრობ, ამ თავის დასასრულს კანადელი მეცნიერის, დევიდ შიმელპენინკის მოსაზრება შეეფერება,

ფრიად კუროზულია, რომ [ნეო]ევრაზიელები პოსტ-საბჭოთა კომუნისტებმა თბილად მიიღეს. [...კომუნისტური პარტიის ლიდერი, ზიუგანოვი ამბობს,] „დასაწყისიდანვე ევრაზიანელობა შემოქმედებითი პასუხი იყო რუსული ნაციონალური ცნობიერების რუსულსავე რევოლუციაზე.“ და მაინც, პოსტ-საბჭოთა დაულაგებელ პოლიტიკურ ერაში ფრიადაც რომ აქვს 1920-იანი წლების ემიგრაციული ინტელექტუალური მიმდინარეობის სამოცდაათი წლის შემდეგ აღორძინებას კომუნისტთა მიერ. [...] დღეს ხალხი სწავლობს ლევ გუმილევის [ევრაზიანისტულ გეოგრაფიულ ფილოსოფიას] ისევე, როგორც გულდასმით კითხულობდა კარლ მარქსის *Das Kapital*-ს. მარქსისტული ისტორიული დეტერმინიზმი [მიზეზ-შედეგობრივი (წინასწარ)განსაზღვრულობა] გარდაისახა განსხვავებული სახის დეტერმინიზმად, ნაციონალ-გეოგრაფიულ ვარიანტად (Schimmelpenninck 2010, 237-238).

1.4. პირველადი დასკვნები

სანამ უშუალოდ დასკვნებზე გადავიდოდეთ, შემოვიყვან ცნობილი რუს-ებრაელი ემიგრანტი მოაზროვნის, ისაია ბერლინის წიგნის შესავლის ავტორს, ეილინ კელის (Aileen Kelly). იგი წერს, რომ ის თეორიები, რომლებსაც რუსი მოაზროვნეები მთელი გრძნობით ეძლეოდნენ, დასავლეთიდან იყო წამოსული. თუმცა ისინი სრულყოფილად როდი იგებდნენ მათ. ეს ვნებიანი დაინტერესებულობა, იდეებით ამგვარი აკვიატება ანგლო-საქსი მკვლევრების მიერ აღიქმება მენტალურ-მორალურ აშლილობად. ზღვრული იდეოლოგიების ფანატიკურ მგრძნობელობას ისინი თვითრღვევამდე მიჰყავდა. ამაში ისინი ჩაითრევდნენ საკუთარ ქვეყანასაც და მსოფლიოსაც. პლურალისტურ და მონისტურ მსოფლადქმათა შორის რუსი ინტელექტუალები ძირითადად ირჩევდნენ მონისტურს. ანუ იმას, რომ ყველა მოვლენისათვის მხოლოდ საფუძვლებრივი ერთობა არსებობს და რომ ეს მოვლენები ერთი, საყოველთაო მიზნიდან მომდინარეობენ. ამგვარი რწმენა, უფრო სწორედ, რწმენის უკიდურესი ფორმა, ადამიანს განიხილავს, როგორც ოდენ აბსტრაქტული ისტორიული იდეის ინსტრუმენტს. ამ დეჰუმანიზირებულ ხედვას, თავის მხრივ, თან მოაქვს კრიმინა-

27 შეიძლება რეალურად არადასავლური ანტიდასავლურია, მაგრამ ცნებითად არა.

ლური პოლიტიკური პრაქტიკა. ეს შეიძლება ეფუძნებოდეს მისტიკური ყოვლისერთობის (всеединство²⁸) კეთილ წყურვილს, მაგრამ ამასთან ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობისგან გაქცევაცაა. ისაია ბერლინისათვის კი ნამდვილი პლურალიზმი უარყოფს ხედვას, რომ ფასეულობათა ანტითეზური კონფლიქტი შეიძლება მათი სინთეზით მოიხსნას და ყველა აღწერილ-გაცნობიერებული მიზანბოლო შეიძლება მოერგოს ერთმანეთს. პლურალიზმი მარადი მორალური ორჭოფობა და განუსაზღვრელობაა, როდესაც საკუთარი წარმართვის ინდივიდუალური უფლება შეუპირისპირდება სახელმწიფოსა თუ ეკლესიის მითითებას. პლურალიზმი უზენაესი მნიშვნელობაა, თუკი აღიარებულია, რომ ადამიანთა მიზნებისა და მისწრაფებების განსხვავებულობა არ უნდა შეფასდეს ერთი უნივერსალური კრიტერიუმით (Berlin 2020, XIV-XVI).

გამოყვავი ევრაზიული თემის რამდენიმე შემადგენელი:

1. ანტიდასავლურობა, მაგრამ არა როგორც თანასწორი თანასწორთან მიმართებით. ევრაზია არა მხოლოდ უნიკალურია, არამედ ის ერთადერთია – ევრაზია არის სამყარო თავისთავად. ხოლო თუ ის ამჟამად მხოლოდ იდეური მონაცემია, ნაწილობრივ განსხეულებული რუსულ სახელმწიფოში, ის მაინც არ კარგავს თავისი დანიშნულების განხორციელების პოტენციას.
2. „წმინდა რუსეთის“, „მესამე რომის“, „თეთრი მეფის“ საკრალური იდეები.

ამასთან, ვნახეთ, რომ ამჟამინდელი ევრაზიანიზმი, ანუ ნეოევრაზიანიზმი პირდაპირ არ გამომდინარეობს არც სლავოფილური და არც ევრაზიული მიმდინარეობიდან. ის მათი ათვისება და დამატებითი იდეების სინთეზია. ასევე ვნახეთ, რომ ევრაზიანიზმი კომპლექსური თუ სინთეზური, ანუ გარდასახვად-განვითარებადი იდეაა და მისი ერთადერთ და საბოლოო სახეზე დაყვანა შეუძლებელია. ეკლესია შეიძლება იყოს ამ ნიადაგგარდაქმნად იდეაში სახელმწიფოს მეწყვილე, მაგრამ შეიძლება სულ ასე არ გაგრძელდეს. მთავარი არის რუსეთის „უსაზღვრობის“, ერთადერთობისა და საყოველთაობის, ნაწილობრივ კი, რჩეული ერის, რუსული ენისა და „ცარ“-ის საფუარი. ხოლო დანარჩენი იდეური შემადგენელი შეიძლება ნაცვლდებოდეს კიდევც.

ტექსტის მეორე ნაწილში განვიხილავთ საერო და სასულიერო ხელისუფლების (ეს განსხვავება არ გამორიცხავს ორივეს თანადროულ საკრალურობას), მესამე რომისა და პოლიტიკური ჰესიქაზმის კერძო საკითხებს.

2. კერძო თემები

2.1. კიევის რუსეთი. საერო და სასულიერო ძალაუფლება

2.1.1. კიევის რუსეთი, როგორც მოსკოვის რუსეთის სიმბოლო

აქ ჩემს ინტერესს არ წარმოადგენს კიევის რუსეთის ტომობრივი შემადგენელი. ერთი რამ ცხადია, რომ „ის არანაირად არ იყო იზოლირებული მაშინდელი კულტურული სამყაროდან. [...] კიევის რუსეთს შეეძლო კულტურული გამოწვევისათვის ცნობიერად ეპასუხა.

28 Всеединство.platona.net. https://platona.net/https://platona.net/board/filosofskij_slovar/vseedinstvo/1-1-0-90

ნიადავი უკვე შემზადებული ჰქონდა“ (Florovsky, Andreyev and Billington 1964, 216-217). საკითხი მაინც დგება, იყო თუ არა კიევის რუსეთი ევროპული მოვლენა ან „იყო კი თავად ბიზანტიური მემკვიდრეობა ჯანმრთელი? [...] ახალგაზრდა და ხალასი ხალხი სიხალასე დაკარგულ და შემოქმედებით-ძალა-დაშრეტილ მომაკვდავ სამყაროს ხრწნილ კულტურაზე უნდა ამოზრდილიყო“ (იქვე, 217-218). კიეველებს არ უმემკვიდრიათ კლასიკური სამყარო და ვერც ბერძნული ისწავლეს, რათა თავად ჩაღრმავებოდნენ ათვისებადი კულტურის საფუძვლებს. თავად იუდაურ თუ უკვე იუდაურ-ბერძნული სახარების საწყისს მხოლოდ იდეოლოგიზირებულად მჭლე, ეგრეთ წოდებული „მამათა“ კომენტარებითა სწვდებოდნენ და მასაც ამბიონებიდან ღვარჭნილად ნაქადაგარს. და მაინც, კიევმა შეძლო მართლმადიდებლობის ინდიგენიზაცია²⁹ (იქვე, 218-219, 222).

მთავარი მაინც ისაა, რომ „კიევური პერიოდი აღწერილია, როგორც ერთგვარი ოქროს ხანა, რუსეთის ოქროს ლეგენდა“ (Florovsky, Andreyev and Billington 1964, 219). თუმცა ნოევრაზიანელობის მთავარი წარმომადგენელი, ალექსანდრე დუგინი მიიჩნევს, რომ კიევი კი არა, არამედ ბიზანტია წარმოადგენს მოდელს, „ბიზანტიას დუგინი ქადაგებს, როგორც აბსოლუტურ ფასეულობას ღმერთისა და ეკლესიის ფასეულობებთან ერთად“ (Hovorun 2018, 77). ქვემოთ ვაჩვენებ, რომ კიევური ხანის შემდგომი ჟამთააღმწერლები (ლეტოპისცები) სულაც არ იყვნენ ბიზანტიის კალკირების მოწადინენი და მისგან თავს განისხვავებდნენ (ეს ზემოთ ავარინცევის მსჯელობაში უკვე ვნახეთ კიდეც).

მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ კიევის რუსეთი რაღაცნაირად მოიხიბლა ბიზანტიით, მეტიც მოინუსხა მისით: „დადამბლავდა მისი შარმით“. ეს გარეგანი ფორმებისადმი უკიდურესად რიტუალური კრძალვისა და „ინტელექტუალური უტყვობის“ თუ „კულტურული აბერაციის“ მიზეზი გახდა. ასე რომ, ბიზანტია ვერ აითვისა კიევისა თუ მოსკოვის რუსეთმა. ისინი დაადგნენ განვითარების საკუთარ, უნიკალურ გზას. „დგოვევრიე“ (ორრწმენიანობა), ანუ რწმენის ვერგათავისება და მისი მიღება მხოლოდ საკუთარი წარმართობის პარალელურად, თან გასდევს ორივე რუსეთს (Florovsky, Andreyev and Billington 1964, 221-233). ამდენად, ქრისტიანული თუ ბიზანტიურ-მართლმადიდებლური შინაარსი გარკვეულწილად შეიძლება ჩაითვალოს „გარეგან“ ფორმად და ვერგათავისებულად – ბერძნულ-რომაული შიგთავსი, მით უმეტეს. ეს კი აჩენს „შინაგანში“ რაღაც სიცარიელეს, რომელიც შესაძლებელია შეივსოს სხვა ელემენტით. ამრიგად, ერთი მხრივ, არსებობს ორრწმენიანობის, ანუ ორი გზის, ორი ინტერპრეტაციის სფერო და მეორე მხრივ, ამას ემატება თავად ქრისტიანული „პარალელის“ თუ „გზის“ შინაგანი ნაწილობრივი სიცარიელე. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ეს „ორმაგობა“ და „სიცარიელე“ იძლევა იმის საშუალებას, რომ მართლმადიდებლობა ჩანაცვლდეს, ან ჩასწორდეს კომუნიზმით ან სხვა რამ იდეით. „ქრისტიანობამ“ ან „ბიზანტინიზმმა“ საბოლოოდ შეიძლება ნებისმიერი სახე მიიღოს.

კიევის რუსეთი მოსკოვისათვის ლეგენდა ანუ სიმბოლოა. სიმბოლო კი მუდამ ექვემდებარება ინტერპრეტაციას. „რუსეთის ისტორია მეტწილად იწყება მოსკოვის აღზევებით. [...] კიევური მემკვიდრეობა მოსკოვიტური კულტურული ტრადიციის ინტეგრალური ნაწილი იყო. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ის იყო რეინტერპრეტირებული და გადახედილი“.

29 Indigenization – არის ასიმილიზაციის საპირისპირო ტერმინი. ის შეიძლება ითარგმნოს როგორც ათვისება, ან შეთვისება. კერძოდ უკრაინის შესახებ ამ ტერმინის შინაარსისათვის იხ. <https://www.britannica.com/topic/indigenization>

კიევის უშუალო ჩამომავლად კი, ალბათ, უფრო გალიციური ან ლიტვური სახელმწიფოები უნდა განიხილებოდეს (Florovsky, Andreyev and Billington 1964, 231-232). ოღონდ კიევი მაინც არ იყო ერთადერთი კულტურულად დაწინაურებული სამთავრო მონღოლობამდელ რუსეთში, „1230 წელს, რუს-ში მონღოლური შემოჭრის ბოლო საუკუნეში, აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე კიევის უძველესმა დედაქალაქმა ცენტრალური ადგილის დაკარგვა დაიწყო“ (White 2004, 493). მაგალითად, სუზდალის მთავრებმა შეწყვიტეს კიევის ტახტისათვის ბრძოლა და საკუთარი სამთავროს იდეურ ცენტრად გამყარებას შეუდგნენ. ეს პროცესი მეომარი წმინდანების კულტის გაძლიერებითა და საეკლესიო მხატვრობაში მათი ასახვით წარმოებდა. ისინი ამას კონსტანტინოპოლის ლათინურ პერიოდამდე არსებულ კომენტების დინასტიას დაესესხნენ. როგორც ჩანს, მაშინ მთელს აღმოსავლეთ საქრისტიანოში არაბობასა და თურქობასთან გამკლავების კონტექსტში წინ წამოიწია მეომარ მოწამეთა (დიმიტრი, თეოდორე სტრატილატი, გიორგი, ევსტათი) ახლებურად გააზრებულმა კულტმა. ისიც კი ირწმუნეს, რომ წმინდანები უშუალო მონაწილეობდნენ ბრძოლებში (ჩვენში ეს დასტურდება დავით აღმაშენებელთან) (იქვე, 495). მონიკა ვაითი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ იქცნენ მოწამეები ქალაქმფარველებად კონსტანტინოპოლის ყაიდაზე, ასევე მთავართა ინდივიდუალურ მფარველებად და თუ როგორ გამოიხატებოდა ეს საეკლესიო ხელოვნებაში. სწორედ ამ დროს შემოდის, ერთი მხრივ, ახალი ქალაქებისთვის წმინდანების სახელის დარქმევა და, მეორე მხრივ, ნათლობისას მთავართა მიერ მეორე სახელად მათი სახელების აღება. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ რანგის მიხედვით წმინდანთა მხატვრული განლაგება უკავშირდებოდა პოლიტიკურ განაზრებებსა და მთავართა როლის თეოლოგიურ-პოლიტიკურ აღქმასაც. მაგალითად,

დოღგორუკიმ ვერ შეძლო კიევის ტახტი ფიზიკურად დაეპყრო. თუმცა მან მაინც მოახერხა და საკუთარ დედაქალაქში წმინდანთა სახით მაინც გადმოიტანა მისი პოლიტიკური და სულიერი მნიშვნელობა. ეს ის წმინდანები იყვნენ, რომლებიც საყოველთაოდ იყვნენ აღიარებულნი, როგორც მთავართა მოდგმის მფარველები. თუმცა დოღგორუკმა მილიტარული წმინდანებისადმი ბორისისა და გლეების ტრადიციული მიკუთვნება მალევე შეწყვიტა. როგორც ჩანს, მისთვის ისინი ძირითადად მთავრულ ძალაუფლებასა და ოჯახობრივ მორჩილებასთან ასოცირდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, სამხედრო წმინდანების და მეორე მხრივ, ბორისისა და გლეების პოპულარიზებას, მისთვის ეს ორი ჯგუფი [სამხედრო წმინდანები და ბოლრისი და გლეები] განსხვავებულ ფუნქციებს აღნიშნავდა (იქვე, 499).

ვნებათმენი (страстотерпцы) წმინდანები, ბორისი და გლეები ნამდვილად არიან დოღგორუკის წინაპრები. ისინი ტირანი ძმისადმი სიკვდილამდე მორჩილების გამო აღიარეს წმინდანებად. თუმცა დოღგორუკის აღარ სურდა ყოფილიყო კიევის დამორჩილებული, ის თავად ქმნიდა ახლა თვითკმარ ცენტრს. საერთოდ კი, მთელი ამ ქალაქების პოლიტიკურ ისტორიას თან სდევდა ამ ორი წმინდანის როლის სხვადასხვაგვარად მოაზრება. ისინი ბიზანტიელ პოლიტიკურ წმინდანებთან მიმართებაში ერთგვარ თეოლოგიურ-პოლიტიკურ სიახლედ იქცნენ. ისინი ეწამნენ არა სარწმუნოების გამო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უსამართლო ტანჯვის მორჩილებით დათმენით --- (დემეტრე თავდადებულის მსგავსად, ოღონდ დემეტრეს ფორმალურად მაინც მიაწერეს სარწმუნოების დაცვა, თუმცა მისი ორკოლიანობა სულაც არ იყო მისი შეუვალე რწმენის გამომხატველი). საბოლოოდ ეს ორი

წმინდანი იქცა რუს მთავართა და შემდეგ მეფეთა პირველსახედ თუ სიმბოლოდ (ამის შესახებ ავარინცევი ფართოდ მსჯელობს ზემოთმოყვანილ კვლევაში). სამთავრო-სამეფო ძალაუფლება აღარაა ტრიუმფის სიმბოლო, როგორც იყო ბიზანტიური ძალაუფლება. ის გულისხმობს ვნებას, დამცირებას – *Ох, тяжела ты, шапка Мономаха!* – თუმცა თავის თავში გამარჯვების უკვე-მატარებლის, აწ-დაჩოქილობის, მაგრამ შემდგომი წამოდგომისა და ტრიუმფის აუცილებლობით. სწორედ ვნებათმთმენი ეწოდა ნიკოლოზ მეორის ოჯახს, რომელიც იქცა თანამედროვე რუსეთის სიმბოლოდ, შინაგანი სიდიადის გამომჟღავნებისა და ჩოქვიდან წამოდგომის გარდაუვალობის სიმბოლოდ³⁰. ალექსანდრე დუგინის მიერ სწორედ ამგვარი ქარგი იქსოვება თანამედროვე რუსული პოლიტიკური გობელენზე პუტინის გამოსახულებით და არა ბიზანტიური ძალაუფლება.

მონიკა ვაითი თავის კვლევაში აჩვენებს კიევის რუსეთის ერთგვარ დემოკრატიულობას, რაც გულისხმობდა არა მოსკოვის ოქროსურდოვლ მთლიანობას, არამედ გაყოფილთა კავშირს. ეს ის შტრიხია, რომელიც ჟამთააღმწერლის ქრონიკებში არაა დასახული (იხ. ამაზე ოლნავ ქვემოთ). წინა თავში ვნახეთ, რომ ევრაზიელებისათვის მოსკოვურ-რუსეთული განზომილება არა კიევური მიწათშემოერთება, არამედ მონღოლური მიწების ათვისებაა. კიევის რუსეთი ვითარდება ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოებად, რომელთაც აქვთ თავიანთი თვითკმარობის შეგნება³¹. მომავალი რუსეთი სიმბოლოდ დაიდებს ერთიან კიევს და არა დეცენტრალურ დემოკრატიულ რუს-ს. ოღონდ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუკი რამ დემოკრატიული და არაბიზანტიური იყო კიევში, ის მომდინარეობდა მისივე წინარექრისტიანული ხანიდან და არა სულმღაფავი ბიზანტიიდან,

მეშვიდე საუკუნის ბიზანტიელი ავტორები გაკვირვებით შენიშნავენ, რომ სლავები და ანტები, „არ იმთავრებიან ერთი კაცის მიერ, არამედ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ დემოკრატიაში: ისინი ერთად განიხილავენ რაა მათთვის კარგი ან საზიანო“. ავტოკრატიულ მმართველობას მიჩვეული ბიზანტიელები ამას მიიჩნევენ „უწესრიგობად და ანარქიად“ (Florovsky, Andreyev and Billington 1964, 223).

ამ „უწესრიგობას და ანარქიას“ შეეწინააღმდეგა ბიზანტიური გაქცავებული იერარქიულობა და მონროლურ-ყაენური ერთმმართველობა, რაც საბოლოოდ გახდა კიდევ მოსკოვის რუსეთის მახასიათებელი. ამას დაემატა დასავლეთისაკენ მაყურებელი ერთგვარი დემოკრატიულობით მცხოვრები ნოვგოროდისა და ფსკოვის აოხრებაა და შემოერთება, რამაც საბოლოოდ „მოაწესრიგა“ რუსული სახელმწიფო (იქვე). ასე დაითრგუნება (საბოლოოდ განადგურდება?) სლავურ-დემოკრატიული ჩანასახიცა და ბიზანტიიდან ნაწილობრივად მაინც ნასესხები ბერძნულ-რომაულობაც.

2.1.2. ჟამთააღმწერლის ოლგა

Повесть временных лет (წარსულ ჟამთა ამბავი³²) ერთ-ერთ ეპიზოდი მოგვითხრობს კიეველი მთავრის, ვლადიმერის ბების, ოლგას მოგზაურობასა და მონათვლას კონსტანტინოპოლში. სავსებით ნათელია, რომ ამ ამბავს აქვს პოლიტ-თეორიული შეფერილობა და

30 შეიძლება „ივერიის გაბრწყინების“ იდეას აქვს საერთო ამგვარ ხედვასთან, ან სულაც ნასესხებია მისგან.
 31 აქ შეიძლება წინარე-დემოკრატიულობის განჭვრეტა ისევე, როგორც ქართულ თანადროულობაში „კარავის“ იდეის წამოყენებისა და ვეფხისტყაოსანში „ჰუმანიზმის“ ნიშნების დანახვა.
 32 ან „ამბავი დროითა წელთა“ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა ნათარგმნი.

აშკარა ავტორის ან ავტორთა ამბავთმთხველობა მასში სეკულარული წყაროს ნარატივის ჩართვით. ჟამთააღმწერელთა ოლგა რეალურად ერთი პიროვნება იყო თუ მის სახეში ორი ოლგაა გაერთიანებული (რაც ყველაზე მეტადაა შესაძლებელი), ამას აქ არ აქვს მნიშვნელობა. საინტერესო ისაა, რომ აშკარად ვლინდება კიევის რუსეთის ცხოვრებაში სეკულარული და სასულიერო ძალაუფლებების გადანაწილების მიმართ ჟამთააღმწერელთა დამოკიდებულება (Butler 2008, 234). ოლგა დახატულია, ერთი მხრივ, კეთილმოშიშ ქრისტიანად და, მეორე მხრივ, გამჭრიახ ლიდერად, რომელმაც თავისი გამჭრიახობით გააცურა ბიზანტიის იმპერატორი და ასე დაიცვა „რუს“-ი, როგორადაც არ უნდა მოიაზრებოდეს 'რუს'-ი – გაგებული 'ხალხად', 'მიწად' თუ 'ერად'" (Butler 2008, 231).

მოკლე ისტორია კი ასეთია. ოლგა ჩადის კონსტანტინოპოლში. მისი სიბრძნითა და სილამაზით მოიხიბლა იმპერატორი და უთხრა, „მეფობა შეგფერის ამ ქალაქში ჩვენთან ერთად“. ოლგამ განჭვრიტა შესაძლებელი და უპასუხა, „წარმართი ვარ. თუ გსურს, რომ მოვინათლო, შენ მომნათლე, თუ არადა, არ მოვინათლები“. დაუდგა ნათლიად იმპერატორი და ეწოდა მას დიდი კონსტანტინეს დედის სახელი, ოლენა (ელენე). ის მონათლა პატრიარქმა, რომელიც აღფრთოვანდა მისი სარწმუნოებით და უთხრა, „კურთხეული ხარ შენ რუს დედათა (ქალთა) შორის, რადგან შეიყვარე სინათლე და სიბნელე მიატოვე. კურთხეულად ეყოლები რუსტიკების ძეთ, ვიდრე შენს უკანასკნელ ჩამომავლამდე“. ოლგამ თავყვანი სცა და, „დაე, შენი ლოცვებით, მეუფეო, ვიყო დაცული უკეთურის ბადისაგან“. იმპერატორმა არ ისურვა მისი გაშვება და მეუღლეობა შესთავაზა. ოლგამ შეახსენა, რომ ბიზანტიური კანონების მიხედვით ნათლულთან შეუღლება იკრძალებოდა, რის პასუხადაც კვისარმა შესძახა: „მაჯობა (переклюкала) ოლგამ“. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელები ითვლებოდნენ სხვა ხალხებზე სიბრძნით, მეცნიერებითა და გამჭრიახობით დაწინაურებულ ერად, ჟამთააღმწერელმა თავად მათი იმპერატორს ბაგებში ჩაუდო აღიარება, რომ ოლგა მასზე გამჭრიახი აღმოჩნდა და ასე თავადვე აღიარებინა, რომ ბიზანტია ველარ ფლობდა უპირატესობას კიევზე.

ბატლერი ამ მონაკვეთის განხილვისას გამოყოფს შემდეგ საკითხებს,

1. ჟამთააღმწერლები აშკარად უკავშირებენ ოლენა/ელენას სახელრქმევას მოციქულთასწორ ელენეს, რომლის დროსაც ახალი, ქრისტიანული იმპერია იბადება. არადა იმპერატორისა და პატრიარქის განზრახვაში მსგავსი კავშირი არ იგულისხმებოდა. მათ ოლენა/ელენა დაარქვეს ბიზანტიაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც ნათლია საკუთარი პატივისაცემი წინაპრის სახელს უბოძებდა ნათლულს. ანუ, მოციქულთასწორ ელენეს სახელზე არ მოუნათლავთ ოლგა, არამედ თავად ჟამთააღმწერლებმა მიაბეს ოლგას როლი ახალი იმპერიის, ახალი საქრისტიანოს აღმოშობას³³.
2. საერო ქრონიკოსი ოლგა განჭვრეტს „მზაკვარი ბერძნის“ (суть бо Греци лстиви и до сего дни, ბერძნები მატყუარები არიან დღემდე) სურვილს, ბიზანტიას დაუმორჩილოს რუს-ი. თუმცა „ბრძენ“ ბერძნებს სლავი აჯობებს გამჭრიახობით. „როგორც

33 ტერმინი „აღმოშობა“ უკავშირდება ნათლობას, ანუ კვლავ-შობას, განახლებას. მე აქ ამ ტერმინოლოგიურ ნიუანს მხოლოდ ირიბად ვიყენებ. აღმოშობა, კვლავ-იბადება ქრისტიანული რომის ერთი და იგივე იმპერია და პრეფიქს „აღ“ ვიყენებ „აღმოცენების“, „აღსვლის“ მნიშვნელობითაც. ანუ, ერთი მხრივ, წარმოშობა და მეორე მხრივ, ძველს განახლებს. დავით აღმაშენებელშიც ამგვარი ორმაგობა შეიძლება იყოს: ერთი მხრივ, განახლება და მეორე მხრივ, სრულიად ახალი (შდრ. აღორძინება).

ჩანს, აღმოსავლელ სლავებს არასდროს მიუჩნევიათ თავი იმპერიის ნაწილად ან ხელქვეითად. [...] კონსტანტინოპოლი შეიძლება იყო ქრისტიანობის წყარო და საყოველთაო ქრისტიანული იერარქიის ცენტრი, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ის იყო უბრალოდ ბერძენთა უდიდესი ქალაქი“ (Butler 2008, 236-238).

3. „ფრიად საეჭვოა, რომ ბიზანტიელ იმპერატორს შეეთავაზებინა ცოლობა ოლგასათვის“ (იქვე, 234). ამ დეტალის შეთხზვით ჟამთააღმწერლები აშკარად მითოლოგემას ქმნიან, რომ რუს-ი არათუ არ ექვემდებარება, არამედ აღემატება კიდევ წარმავალ ან მიღეულ იმპერიას. პოლიტიკურ სიბრძნესა და დანიშნულებაში.

ამგვარი ინტერპრეტაცია სავსებით მისაღებად მეჩვენება და დავამატებდი.

პირველი. პირველქრისტიან ქალმოწამეთა ამბების თხრობისას ერთ-ერთი ჰაგიოგრაფიული კლიშე-ხერხია მზაკვარი იმპერატორის მხრიდან ქრისტიანი ქალის, ძირითადად უბიწო, მარიამ ღვთისმშობლის ასაკის (12-14 წლის) გოგონას მშვენიერებით აღფრთოვანება. გოგონათა მხრიდან კი უსაღვთოესი სიბრძნის გამოვლინება და ამქვეყნიური (ელჩინურ-რომაული) სიბრძნის დამარცხება – ანუ, წარმავალი პაგანური იმპერიის მარცხი ახლის წინაშე, რასაც მოჰყვება მოწამებრივი ტანჯვა-სიკვდილი, ანუ სისხლით ნათლობა (ბარბარე, ირინე, ეკატერინე და ა. შ.). ამავე ხერხს იყენებს ოლგას ამბავიც, რაც მზაკვარი იმპერიის აღმოცენებული პოლიტერთეულის აღმოშობას უნდა ნიშნავდეს. ეს საშიში პროცესი იყო. კიევისაკენ მიმავალი ოლგა მიმართავს პატრიარქს, „ჩემი ხალხი წარმართია და ძეც ჩემი, დაე, დამიფაროს ღმერთმა ყოველივე ავისაგან.“ ხოლო „პატრიარქმა აკურთხა იგი და წავიდა მშვიდობით თავისი მიწისაკენ და მივიდა კიევში“. აქ, ერთი მხრივ, ისე ჩანს, რომ ოლგას პოლიტიკური ქრისტიანული მისია სახიფათოა:

1. ის უნდა გავრცელდეს მთელი, არცთუ ერთიანი და მშვიდობიანი რუს-ის მთელს ტერიტორიასა და სხვადასხვა ტომის ხალხებზე;
2. ჰყავს კი ამაში მას შემწედ ბიზანტია, თუ – პირიქით? ის კი ცხადია, რომ ჟამთააღმწერელთათვის ოლგას გამჭრიახობამ იხსნა რუს-ი მზაკვარ იმპერიაზე დაქვემდებარებისგან;
3. ისტორიიდან ცნობილია, რომ იმპერატორთან შეთანხმების შემდეგ უკან მიმავალ სლავ მთავრებს იმპერატორები გზაშივე მზაკვრულად აკვლევინებდნენ. იქნებ ჟამთააღმწერელთა ოლგას ამის შიში ჰქონდა? ოლგას შესახებ თხრობა მთავრდება მისი მოგზაურობის მშვიდობიანი დასრულებით, რომელიც პატრიარქის დალოცვამ განაპირობა.

ჟამთააღმწერელთა სიმბოლიკაში აშკარად სახეზეა წყვილი – „კეთილი პატრიარქი“ და „მზაკვარი იმპერატორი“, კეთილი სარწმუნოება-იდეა და ვერავი იმპერიის სეკულარული ძალა (სეკულარული მაშინდელი გაგებით). ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ მოსკოვის სიმბოლური საწყისი დუგინისეული ბიზანტია კი არა, კიევის რუსეთია. მეორე. პატრიარქის დალოცვა „კურთხეული ხარ შენ რუს დედათა შორის ... კურთხეულად ეყოლები შენ რუსტიკების ძეთ, ვიდრე შენს უკანასკნელ ჩამომავლამდე“, აშკარად ლუკას სახარების პირველ თავში ღვთისმშობელი მარიამის როლის ხოტბააღწერის ტერმინებითაა გაწყობილი „გიხაროდენ, მიმადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის (28). [...] კურთხეული ხარ დედათა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი! (42) [...]

ამერიიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა³⁴ (48): ბიზანტიური და ზოგად-მართლმადიდებლური გაგებით, ერთადერთი ნამდვილი იმპერატორი არის ქრისტე და ყველა დანარჩენი მიწიერი იმპერატორი მხოლოდღა მისი სახეა. გამოდის, რომ ოლგას სახე, ერთი მხრივ, ელენეა, რომლის წიაღიდანაც გამოვიდა ქრისტეს მიწიერი სახე, ახალი რომის, ანუ კონსტანტინოპოლის იმპერატორი. ხოლო მეორე მხრივ, ისიც სახეა ღვთისმშობლის, რომელიცაა ყოველი მიწიერი იმპერატორის პირველსახის, ანუ ზეციური იმპერატორის დედა და, ამდენად, ოლგა თვით ელენესაც და ყველა მსოფლიო მეფის დედას დაუთაურდება (შდრ. ზემოთ, „მისი (თეთრი მეფის) უპირატესობანი უკიდურესად აღზევებულია: ჩვენ გყავს თეთრი მეფე, მეფეთა მეფე“ (Аверинцев 2018, 240).

თუკი კიევი მართლაც სიმბოლოა მოსკოვ-პეტერბურგისა, მაშინ „მესამე რომის“ იდეა სწორედ კიევში განიჭვრიტება და არა ლიტონად კონსტანტინოპოლში. ამ გაგებით ევრაზიული რუსეთი კონსტანტინოპოლში კი არ იღებს სათავეს, არამედ თავად ქრისტეს იმპერატორობიდან.

2.1.3. მიტროპოლიტ ილარიონ კიეველის „სიტყვა კანონსა და მადლზე“

1051 წელს კიევის წმინდა სოფიას საკათედროს მშენებლობის დასრულებას მიუძღვნა ქადაგება რუსმა მიტროპოლიტმა ილარიონმა, რომელიც „შეიძლება ამ 'დიდი კაგანის' [იგულისხმება კიევის მთავარი ვლადიმირი] კანონიზირების განზრახვას უკავშირდება, ვინც, როგორც ნათქვამია ორიგინალის ენაზე³⁵, 'არა უდარეს და უცნობ მიწაზე (ქვეყანაზე) მეფობდა და ცნობილი და განთქმული იყო არა მხოლოდ რუსიკში,³⁶ არამედ ქვეყნიერების ოთხივ მხარეს (Замалеев 2012, 14). ქადაგების ტექსტი³⁷ ვრცელია და ამასთან მაღალი ხელოვნების ნიმუშია. ის ბიბლიურ ისტორიას აძლევს „ისტორიოსოფიურ-იდეოლოგიურ“ ხასიათს და ასე ცდილობს აჩვენოს კიევის რუსეთის საკაცობრიო როლი. ჰომილია რჯულისა და მადლის, ახალი და ძველი აღთქმების მიმართებაზეა აგებული.

მოსეს მიერ მოცემულ რჯულსა (კანონსა) და იესო ქრისტეს მიერ გამოჩენილ მადლსა და ჭეშმარიტებაზე, და იმაზეც თუ როგორ გარდახდა რჯული, ხოლო მადლმა და ჭეშმარიტებამ ალავსო მთელი დედამიწა და გავრცელდა რწმენა ყველა ხალხთა შორის, თვით ჩვენს, რუს ხალხშიც; და ხოტბა დიდებულ მთავარს ჩვენსას, ვლადიმირს, ვის მიერადაც ჩვენ ნათელვიდეთ; ხოლო ღმერთს – ლოცვა მთელი ჩვენი ქვეყნისაგან (მიწისაგან).

რჯულისა და მადლის მიმართება კი ლაკონიურადაა მოცემული შემდეგ პასაჟში:

უწინ იყო კანონი, ხოლო შემდგომ – მადლი, უწინ იყო ჩრდილი, შემდეგ კი – ჭეშმარიტება. ხოლო რჯულისა და მადლის წინასახეა აგარი და სარა, მხევალი (მონა ქალი) აგარი და თავისუფალი სარა: უწინ მხევალი, მერე კი – თავისუფალი: დაე გაიგონიეროს მკითხველმა!

34 ზურაბ კიკნაძის თარგმანი.

35 ორიგინალის ენაა (ძველ)-სლავური.

36 რუსიკი – ასეა დედანში. იგულისხმება კიევის რუსეთი.

37 იხ. *Слово о законе и благодати митрополита Илариона*, Подготовка текста и комментарии А. М. Молдована, перевод диакона Андрея Юрченко, <http://lib.pushkinskijdom.ru/Default.aspx?tabid=4868>

ილარიონის ამ ჰომილიდან ალექსანდრე ზამალეევი შემდეგ მთავარ მონაკვეთებს გამოყოფს:

- ა) „კურთხეულია უფალი ღმერთი... უწინ დაფებითა და რჯულით ამართლებდა აბრაამის გვარს (ჩამომავლებს), შემდეგ კი ყველა ხალხი სახარებითა და ნათლობით, საკუთარი ძის მიერ იხსნა“;
- ბ) „თავიდან იყო რჯული, შემდეგ კი მადლი, თავიდან ჩრდილი, შემდეგ კი ჭეშმარიტება“;
- გ) „რჯული წინამორბედი და მსახური იყო მადლისა და ჭეშმარიტებისა, ხოლო ჭეშმარიტება და მადლი — მემსახურე მომავალი საუკუნისა, უხრწნელისა სიცოცხლისა“;
- დ) „არის წინასახე რჯულისა და მადლისა აგარი და სარა, მონაქალი აგარი და თავისუფალი სარა: პირველად მხევალი, ხოლო შემდეგ თავისუფალი“ (Замалеев 2012, 15).

ზამალეევი ასევე ამახვილებს ყურადღებას ილარიონი მოწოდებაზე, „დაე, გაიგონიეროს, ვინც კითხულობს (да разумеет, иже чтеть!)!“ ვფიქრობ ეს სწორი აქცენტია, რადგან ტექსტიდან აშკარად ჩანს თავად მიტროპოლიტის სურვილი, ყურადღება გამახვილდეს მინიშნებაზე, მნიშვნელოვან ტექსტის-(გასაგებ)-ფენათა-შორის მოძრაობაზე. ფრაზას, „დაე, გაიგონიეროს (разумеет) მკითხველმა!“ აქვს სახარებისეული ელფერი. ერთი მხრივ, ის ჰგავს იესოს მრავალჯერად შეძახილ-მოწოდებას, „ვისაც ყური აქვს, ისმინოს.“ ხოლო მეორე მხრივ, ის ჰგავს ასევე სახარებისეულ „შეინანეთ, რადგან ცების(ცათა)/ღმერთის სასუფეველი ხელგაწვდენაზეა/მომდგარია.“ ამას ემატება იესოს მოწოდება: „გამოიკვლიეთ წერილი (ძველი აღთქმა), რადგან ის თხრობს/მოწმობს ჩემზე (იესოზე)“ — ახლებურ ჩაღრმავება-აღმოკითხვისაკენ მოუწოდებს. აქვე უნდა შემოვიტანოთ ფრაზა „да разумеет, иже чтеть!“ საქმე იმაშია, რომ разумеет „გაგონება“ არის ისევე, როგორც ქართულში – მოსმენა და გაგონ-იერება. ეს არაა უბრალოდ მოსმენა, არამედ გაგონება, ანუ გონებაში მისი დამუშავება (არა услышать-მოსმენა, არამედ разумеет-გაგონება). ხოლო სახარებისეული “შეინანეთ“ ორიგინალური ბერძნულზე ნიშნავს „გადა-გონ-ებას“, „გონ-ცვლას“ ანუ გადა-აზრებას, მეტიც ცნობიერების სხვა რეგისტრში გადასროლას და სინამდვილის ახლებურად გააზრება-აღქმას (იხ. ქვემოთ ჰესიქაზმის შესახებ), რაც იესოში მადლით ჭეშმარიტებას ზიარების იგივეობრივია, ანუ რეალობის ნამდვილ-ხედვა-აღქმაა.

ასე გამოვიდოდა, რომ ილარიონი მოუწოდებს რეალობის, მოსმენილის არა ლიტონ აღქმას, არამედ მის ცინცხლად გააზრებას, მეტიც ახლებური რეალობის – უკვე ჭეშმარიტის – მოაზრება-დაგემოვნებას. ეს უკვე არა მხოლოდ ისტორიოსოფიური ან თუნდაც ისტორიის ფილოსოფიის სფეროა, რომელშიც მას შემოსაზღვრავს ზამელეევი. ეს ონტოლოგიაა. ეს ის მომენტი, საიდანაც იწყება ბერძნული, ანუ ევროპული ფილოსოფია. ესაა პარმენიდეს ფილოსოფიური (ონტოლოგიური) პოემის დასაწყისი, სადაც სიბრძნე-ღვთაება ეცხადება ფილოსოფოსს და მოუწოდებს,

საჭიროა შენთვის ყოვლად შეისწავლო (πυσθεσθαι) ორივე, კეთილმომრგვალებული ჭეშმარიტების ურყევი გული და მოკვდავთა მიჩნეულობების (δῶξαι, შეხედულებების), რომლებითაც არაა რწმენა (πίστις, სარწმუნოება) ჭეშმარიტი“ (DK28 B1). [...] განსაჯე სიტყვაგონით (κρίναι δὲ λόγῳ, გაასამართლე სიტყვაგონიერად) მრავალჭიდიული დავა (ἔλεγχον, სადავო არგუმენტი) ჩემგან წარმოთქმული (DK28 B7).

ეს არაა ძველალქმისეული (და მეტწილად წმინდა მამებისეული) „მოისმინე და დამორჩილდი, თორემ დაისჯები“. ესაა მოისმინე, გაიაზრე, განსაჯე, გაიგონიერე და ჭეშმარიტად იცხოვრე. პარმენიდესთან სწორედ ონტოლოგიაზე, ხილულ-ალქმული სამყაროს გადაგონიერებასა და ნამდვილ-ჭეშმარიტ სამყაროში გონივრულით ახალ-სიცოცხლეზე წერია. ამდენად, ილარიონის ტექსტი ნამდვილადაა პირველი რუსულ-ფილოსოფიური ტექსტი – ასეთადაა ის სამართლიანად წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში – და მას სათანადო ნდობაცა და ჩაღრმავებ-აღმოკითხვაც ჭირდება, რასაც მხოლოდ ნაწილობრივ აკეთებს ზამალევევი.

კიდევ ერთ ნიუანს ვისესხებ ზამალევევისაგან. იგი შემდეგს გამოყოფს ჰომილიისაგან: „რჯული წინამორბედი იყო და მსახური მადლისა და ჭეშმარიტებისა, ხოლო ჭეშმარიტება და მადლი – მემსახურე მომავალი საუკუნისა, უხრწნელისა სიცოცხლისა“. ეს თითქოს არ ეხება სახელმწიფოს და, მით უმეტეს, კიევის თემას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ რომის „მარადიულ ქალაქი“ ესქატოლოგიურ განზომილებას მოიცავდა. მისი ხელმწიფება მთელს დედამიწაზე უნდა გავრცელებულიყო და უნდა დამყარებულიყო საბოლოო სამართლიანი და საყოველთაო სახელმწიფო, ერთი სამართლებრივი თანაცხოვრება – *pax romana*. ეს იდეა იმემკვიდრა ბიზანტიამ, ანუ კონსტანტინოპოლმა – ახალმა რომმა. მაგრამ ამ შემთხვევაში, „ბიზანტიური რომის იმპერია იყო ღმერთის ზეციური სამეფოს უშუალო ანარეკლი. რალაცნაირად იმპერია იყო კიდევ ესქატოლოგიური რეალობა დედამიწაზე“ (Laats 2009, 100-101). მაშასადამე, კონსტანტინოპოლი-ბიზანტია უკვე ისედაც იყო ესქატოლოგიის საფუარი და ზეცის ჩენა, ანუ თავადვლენა „მომავალი საუკუნისა, უხრწნელისა სიცოცხლისა“, *pax romana*/რომაული მშვიდობა, როდესაც „ნაციებშორისი წესისმრღვევი ჯებრის ჩანაცვლება და დამყარება მსოფლიო მშვიდობა“ (იქვე, 99). ხოლო აღმდგარი იესო „მშვიდობა თქვენდათი“ ეცხადება მოწაფეებს და მართლმადიდებლური მსახურება იწყება კიდევ მოძახილით „მშვიდობით... ვილოცოთ“, ანუ ესქატოლოგიური უკვე-რეალობაა დამყარებული და საჭიროა მასში ჩაღრმავებ-ამოკითხვა, გაგონიერება და დაგემოვნება.

ახლა გადავიდეთ „да разумееть, иже чтесть!“-ზე. ზამელევი წერს, რომ ეს ეხება მთლიან საკაცობრიო ისტორიის გააზრებას და კიევის რუსეთს მას არ უკავშირებს. ჩემი აზრით კი, ის უკავშირდება როგორც პირველს, ისე მეორეს. მხევალი აგარი არის კონსტანტინოპოლი³⁸, მოძველებული და მის ადგილას მოდის სარა, თავისუფალი კიევი. სწორედ კიევია ბოლო რომი და მისი განზომილება საკაცობრიოა. ისაა ზეცის ვლენა დედამიწაზე. ისაა ესქატოლოგიური შენაპირის წინასწარი დაგემოვნება – ილარიონის პერეფრაზი რომ გავაკეთო, „გააგონიერე მკითხველო და კიევის რუსეთში სიცოცხლით დააგემოვნე ახალი, ზეციური სამეფო!“

ვარდენ ბალდასარიანი მიტროპოლიტი ილარიონის ამ ჰომილიას ისეთსავე განმარტებას აძლევს, როგორსაც ვცდილობ მე აქ. კერძოდ, იგი ამბობს, რომ 1037 წელს ბულგარელებმა ბიზანტიასთან მარცხის შედეგად დაკარგეს ავტოკეფალია და დაუბრუნდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციას. ბევრმა ბულგარელმა კი თავი შეაფარა რუს-ს და უკვე იქ დაიწყეს ავტოკეფალურობის იდეის კულტივირება. ამ ვითარებამ ხელი შეუწყო ილარიონის, კიევში პირველი არაბერძენი მიტროპოლიტის დადგინებას. ხოლო მისი „სიტყვა რჯულსა

38 ნიკიტა მიხალკოვის ფილმში *ციმბირელი დალაქი*, კონსტანტინოპოლი მეძავი ქალია, ღვინოდაცლილი და გემს მიღმა მოსროლილი სასმისი.

და მადლზე' მოიცავს ელემენტებს, რომელიც საუკუნეთა შემდეგ კრისტალიზირდა მესამე რომის სწავლებად“ (Багдасарян 2019, 20).

ზამელევი საერთოდ აღარ განიხილავს იმ გარემოებებს, რომ ილარიონი ვლადიმირს უწოდებს ბასილსა და ოლგას ელენას (ოლგაზე იხ. ზემოთ). სახელი ბასილის ბერძნული აზრი კი მეფე-იმპერატორი, ბასილევსია. ბასილი არის სამეფო. ზეცათა სამეფო არის βασιλεία των ουρανών (ბასილია ტონ ურანონ). თუ ჩემი ვარაუდი სწორია, რომ ილარიონი შეგნებულად უკავშირებს სახელ ბასილს იმპერატორის ცნებას, მაშინ ვლადიმირი არის ბასილევსი, იმპერატორი. იგი იესოს, ზეციური სამეფოს გვირგვინოსნის, საბოლოო რომაული მშვიდობის მეფის ნაცვალსახეა დედამიწაზე.

2.1.4. შეჯამება

რუსულ ცნობიერებაში კიევის რუსეთი სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა. ის არაა ოქროს ხანა, ის სიმბოლოა – უფრო მითო-ესქატოლოგიური, ვიდრე ისტორიული. ბიზანტიის შუქი გადატყდება კიევ-სიმბოლოში და ისე აღწევს მოსკოვის რუსეთამდე. მოსკოვი კი უნდა ჩაენაცვლოს კონსტანტინოპოლს – რუს-ი რომიებს (ანუ რომაელებს — რომიებს საკუთარ თავს უწოდებდნენ ბიზანტიელები). თავად მოსკოვის რუსეთი ქმნის თავის მითს – ქმნის და გარდაქმნის. ეს მითო-გარდასახვა დღემდე გრძელდება.

რუსული სამთავროები, დაწყებული კიევიდან, მართლმადიდებლობას ინტერპრეტირებდნენ საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლებისამებრ. ოლგას მოაქვს რწმენა და არა სახელმწიფო ძალაუფლება. სარწმუნოება უნდა ჩადგეს სახელმწიფო ინტერესებში. მიტროპოლიტი ილარიონი მთელ საკაცობრიო ისტორიას თეოლოგიურ-ფილოსოფიურად აღწერს, როგორც კიევის რუსეთის ძალაუფლების სამტკიცს. მართლმადიდებლობა არაა პირველადი, არამედ პოლიტიკური იარაღია, ენაა. მაგრამ ენის თვისება, ანუ სიმბოლური სტრუქტურის თვისება ისაა, რომ ის აღწერს და გაანამდვილებს თეორიას.

2.2. მესამე რომი

რუსული ფილოსოფიის ამერიკელი მკვლევარი ლესლი ჩემბერლენი (Lesley Chamberlain) წერს, რომ რუსმა ფილოსოფიურად მოაზროვნეებმა (მას ეჭვი ეპარება რუსული თუ რუსეთში აკადემიური ფილოსოფიის ან, ზოგადად რუსული ფილოსოფიის, როგორც ასეთის არსებობაში) დეკარტეს ანაცვალეს პასკალი. ამ უკანასკნელისათვის პირველის მეცნიერული მეთოდი იყო დონკინოტური წამოწყება, რომელიც განწირულია და ვერასოდეს მიაღწევს მთელ/მთლიან ჭეშმარიტებას. იგი მიღწევადია მხოლოდ „გულის სიბრძნით“. პასკალის რწმენას არ სჭირდებოდა სამტკიცო. მან აბსოლუტური უცოდნელობიდან გააკეთა არა-რაციონალური, პროტო-ეგზისტენციალური ნახტომი საზრისში (Chamberlain 2007, 139). მაგრამ „კოგიტო...“ ანუ „[მე] ვაზროვნებ მაშასადამე [მე] ვარსებობ“ არის არქიმედეს წერტილი თანამედროვე/მოდერნული სამყაროსი. ისაა ინდივიდის თავისუფლებისა და მთლიანობის, მეცნიერების მიუკერძოებლობის პრინციპი. უგონებო/არარაციონალური კულტურა, განსაკუთრებით კი (პოსტ)მოდერნული, იგივეა, რაც უხერხემლო ძუძუმწოვარი. რასაც რუსები ეძებდნენ, ეს იყო ზნეობრივი სარგებელი რაციონალური დანაკარგის ასანაზღაურებლად. ესწრაფოდნენ, ეპოვათ არა ობიექტურობა, არა ჭეშმარიტება, როგორც ასეთი, არამედ რუსული ჭეშმარიტება. ისინი უარობდნენ, წარებოცათ ემოციური და სარწმუნოებრივი კომპონენტი ცოდნის პალიტრიდან. რუსული აზროვნებისათვის მთა-

ვარი ამოსავალიცა და მიმართულებაც იყო და, როგორც ჩანს, რჩება „დედასამშობლო“³⁹ (იქვე, xiv, xvii-xviii).

ასევე ამერიკელი მკვლევარი ალისა დებლასიო წერს,

[რუსი მოაზროვნეები] გვეუბნებიან, რომ რელიგიური ტრადიცია ტრანსნაციონალურია ინტუიციისაზე (გუმანზე), ემოციასა და ერთიანობაზე ყურადღების გამახვილებით, როგორც უმეტესზე, ვიდრე „სილოგიზმის რკინის ჯაჭვი“ [...] მეცხრამეტე [და მეოცე] საუკუნის ფილოსოფოსები ნიადაგ შეაფერადებდნენ [ფილოსოფიის] საგანს მესიანური და ესენციალისტური შტრიხებით, ეძიებდნენ რა ამით, თუ როგორ შეძლებდა რუსეთი „აღსრულებინა მოწოდება“ [...] განხორციელებინა საკუთარი „მისია“ [...] ან „მოეშორებინა ევროპული ფილოსოფიის ლოგიკური სისტემების უღელი“, რათა შეენარჩუნებინა „ყოფიერების ინტეგრულობა“ (არსებობის სიმრთელე). [...] ევრაზიანელი ნიკოლაი ტრუბეცკოი ამბობს: „ჩვენ [რუსები] უნდა მივეჩვიოთ იდეას, რომ ბერძნულ-რომაული სამყაროს კულტურა არის ჩვენი სასტიკი მტერი“ (DeBlasio 2014, 17).

ტიქსტის თემიდან ამ გადახვევის მიზანი იყო ის, რომ მეოცე საუკუნის მართლმადიდებლური თეოლოგიური აზროვნებაც ძირითადად მისდევდა ამ ტრენდს, სადაც „სქოლასტიკა“ დამაკნინებელ ტერმინად იქცა. ეს იყო მცდელობა, რამენაირად დაეფარათ მართლმადიდებლური კოლაფსი და გარემოებათა და გარევითარებათა მსხვერპლად წარმოეჩინათ თავად იგიც და პოლიტიკურ დამდგარ შედეგზე მისი გავლენაც, მაშინაც კი, როდესაც ისტორიისა თუ თეოლოგიის „კრიტიკული“ თუ „ფხიზელი“ შესწავლა ხდებოდა, მაინც იტოვებდნენ „დედასამშობლო/დედაეკლესიის“ უცდომელობის ნაშთს. მაგალითად, სახელგანთქმული რუსი ემიგრანტი, თეოლოგ-ისტორიკოსი, პროტოპრესვიტერი იოანე (ჯონ) მეინდორფი ამტკიცებდა, რომ პირველი და მეორე რომის უნივერსალისტური პრეტენზიები უცხო იყო ივანე მრისხანეს რუსეთისათვის. იგი ამტკიცებს, რომ ივანე მრისხანისათვის არა რომის იმპერია იყო თვითმიზანი, არამედ რუსეთის თავისებური ნაციონალური ხასიათის განვითარება იყო მისი განზრახვა (Laats 2009, 108). ამგვარი რამ მხოლოდ მას შემდეგ ხდება შესაძლებელი, რაც დასავლურ-სქოლასტურმა შენარევმა „დააბინძურა“ წმინდა რუსული აზროვნება (Meyendorff 1996, 136). ევრაზიანელობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ასევე თეოლოგ-ისტორიკოსი და უაღრესად პოპულარული პროტოპრესვიტერი გიორგი ფლოროვსკის მთავარი ნაშრომი, „რუსული თეოლოგიის გზა“ კი მთლიანად დასავლური აზროვნებით რუსულ-მართლმადიდებლობის შერყვნას ეძღვნება.

ესტონელი მკვლევარ ალარ ლაატსი დამაჯერებლად აჩვენებს მეინდორფის მიკერძობულობას და წერს,

პირველ რომს ჰყავდა პატრიარქი [ანუ პაპი] და მეორე რომსაც ჰყავდა თავისი. ხოლო მესამეს ჰყავდა მხოლოდ მიტროპოლიტი. [...]ეს] ტიტული მოიპოვეს გამოძალვით⁴⁰: კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფინანსურად დამოკიდებული გახ-

39 როდესაც ადამიანის მთლიანი პიროვნულობა, განცდა-შერთული გონიერება დარღვეულია და მხოლოდ რწმენით „ნახტომილა“ რჩება მინიმუმამდე რედუცირებული გონსიყვით, მაშინ ის აბსოლუტის მიმართ აპოფატური ან ცარიელი მაინც უნდა იყოს, თორემ ადგილს იკავებს ლიტონი მგრძნობელობა — მგრძნობელობა „დედასამშობლოსი“ (ან „მამულის“ თუ „ილიამეორესი“ ქართველებისათვის).

40 2019 წელს უკრაინის ავტოკეფალიის ცნობასთან ერთად კონსტანტინოპოლმა განაცხადა, რომ რუსეთისათვის მას არასოდეს მიუნიჭებია სრული ავტოკეფალია, რადგან არ გაუცია ტომოსი (განკარგულება წერილობითი), არამედ მხოლოდღა ანგარიში გაუწია არსებულ ვითარებას.

და რუსეთზე. [...] მოსკოველ ცარს ეიმედებოდა, რომ რიგით მესამე პატრიარქი მაინც ეყოლებოდა, მაგრამ 1589 წელს მხოლოდ მესხეთესლა დასჯერდნენ. [...] თუმცა რუსეთგარეთ [მაგ., კონსტანტინოპოლელმა პატრიარქმა] რუსეთის ცარი მაინც აღიარეს მთელი ორთოდოქსული სამყაროს მფარველად და შეადარეს კიდევ კონსტანტინე დიდს (Laats 2009, 106).

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ბიზანტიური სიმფონია⁴¹, ცხადია, განუხორციელებელ იდეალად დარჩა თავად ბიზანტიასა და, მით უმეტეს, რუსეთში. მაგრამ, როგორც იდეალი, ის განიმარტა ესქატოლოგიურად, „სამყარო არსებობს მანამ, სანამ მოსკოვი არსებობს. ხოლო მოსკოვი არსებობს მანამ, სანამ ის საქრისტიანოს ცენტია. [...] თუკი მოსკოვი წარხდება ან შეწყვეტს იყოს ამგვარი ცენტრი, სამყაროს დასასრულიც ესაა“⁴² (Laats 2009, 110). ასე იქცა რუსეთი ესქატოლოგიურ იმპერიად, რომლის მმართველიც იქნეს განსაკუთრებულ ძალას ესქატოლოგიური მეფისაგან, ანუ ქრისტესაგან. ეს კი ნიშნავს, რომ ცარი, როგორც ღვთიური მმართველი, არის კიდევ ეკლესიის მმართველი.

...ისინი ზოგჯერ ნახევარ-ღმერთებად აღიქმებოდნენ. იგივე მოხდა სეკულარიზებული რუსეთშიც. თვით კომუნისტი მმართველებიც კი იყვნენ რალაცნაირად წმინდანები. [...] ეს ცნობიერება რჩეულად და ღვთიურად, ესე იგი მესიანურ ერად მყოფობისა, შენარჩუნდა სეკულარულ ერაშიც კი (Laats 2009, 110-111).

„მოსკოვი – მესამე რომი“ სამჯერ ახსენეს ბულგარელმა, პოლონელმა და რუსმა დღევანდებმა 1948 წლის აღმოსავლეთმართლმადიდებლური ეკლესიების მოსკოვის კონფერენციებზე. ხოლო ამ კონფერენციას წინ უძღოდა აღმოსავლური საქრისტიანოს კონსოლიდაციის სტალინისეული იდეა. ამ იდეის ხორცშესხმის მცდელობის პროცესს აღწერს მიხაილ შკაროვსკი. 1943 წლის სტალინგრადის ალყასთან დაკავშირებული პროცესებითა და დასავლური მოთხოვნებით განპირობებული რუსული ეკლესიისაკენ (ქართულისკენაც) სტალინისეული „დადებითი შემობრუნებით“ იწყება ეკლესიის ხელახალი ჩართვა საბჭოთა იმპერიალიზმის საქმეში. უკვე 1946 წელს „მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალი“ იუწყება „მოსკოვი – მესამე რომი, მეოთხე აღარ იქნება“ იდეის გაცხოველების შესახებ. 1947 წლისათვის იგეგმებოდა ყველა ავტოკეფალიური ეკლესიის მწყემსთავრის კრებად მოწვევა, სადაც დაესწრებოდნენ ასევე სირიო-ქალკედონელები, სომენ-გრიგორიანელები, კოპტები მათი მართლმადიდებლობასთან შემოერთების პერსპექტივით. მთავარი იყო „პოლიტიკური ხასიათი – დაპირისპირება მებრძოლ კათოლიციზმთან და ეკუმენურ მოძრაობასთან“ (შდრ. ქართული რადიკალური მართლმადიდებლობის დღევანდელ საქმიანობას). ასევე განზრახული იყო ამ პოლიტიკაში ყველა საზღვარგარეთული სამრევლოს ჩართვა. და ბოლოს, 1948 წელს უნდა გამართულიყო მსოფლიო კრება „მოსკოვის საპატრიარქოსათვის მსოფლიო/საყოველთაოს წოდების მინიჭებისა“ და სტამბოლიდან ცენტრის მოსკოვში გად-

41 ამის შესახებ დაწერილებით იხ. კახა კურტანიძე, „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების ტრინიტარული პარადიგმა“, კრებულში პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ, რედ. გიგა ზედანია (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012). Kalkandjieva, Daniela. 2011. *State Relations in Eastern Orthodoxy: Concepts, Models, and Principles*. *Journal of Church and State* 53, no. 4 (Autumn): 587-614.

42 შდრ. პუტინის გამოთქმას ჰიპოტეტურ მესამე ომთან დაკავშირებით, „თუკი არ იქნა რუსეთი, რაღა აზრი აქვს მსოფლიოს?“ ასევე, იდეა „ივერიის გაბრწყინება“ ეროვნულ მასშტაბზე გარდაქმნა ხომ არაა ამ რუსული იდეის?!

მოტანის მთავარი მიზნით. ამ საქმიანობაში, რა თქმა უნდა, აქტიურად იყო ჩართული რუსული და სოციალისტური ქვეყნების ყველა ეკლესია. მეტიც, თავად კონსტანტინოპოლის პატრიარქი მაქსიმეც ლოიალურად იყო განწყობილი, მაგრამ ის დასწევდა (?) და სტალინის ეს წამოწყება მისმა გარემოცვამ ჩააგდო. შედეგად, განზრახული მსოფლიო კრების ნაცვლად ხსენებული კონფერენციალა შედგა (Шкаровский 2009, 15, 18-19).

სამხრეთ კორეელი მეცნიერი ჯიი-ვონ ჩა გამოწვლილვით იკვლევს „მესამე რომის“ კონცეპტს. იგი აჩვენებს, რომ არა მხოლოდ მეინდორფს ჰქონდა აზრი, რომ ბერი ფილოთეოზის ნათქვამი მესამე რომის შესახებ ფაქტობრივად ყურადღების მიღმა დარჩა მე18-19 საუკუნეებამდე, სანამ რუსეთის იმპერიული მადა ზენიტს მიაღწევდა, როდესაც „ნამდვილად იმპერიული მიზანი [იყო] მთელი მსოფლიოს პყრობა“ (Cha 2016, 209). მაგრამ ჩა ნათლად ამტკიცებს ამ მიდგომის საეჭვობას. ამას იგი აკეთებს „თეთრი კლოზუკის“ (მხოლოდ სლავი ეპისკოპოსებისათვის დამახასიათებელი თეთრი თავსაბურავი, ჩაჩი) ლეგენდის ანალიზის საფუძველზე. თავად ლეგენდა რომ გამიზნული სიყალბეა, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მას აქვს ერთი თავისებურება. თეთრი ჩალმა კონსტანტინე დიდმა უანდერძა პაპს, ხოლო მას შემდეგ, რაც პაპი გაერეტიკოსდა, გადაეცა ნოვგოროდელ ეპისკოპოსს. „ჯიქცი-ასა და რეალობას შორის საზღვრის გადალახვით“ ნოვგოროდი მოსკოვისაგან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას იდასტურებდა. თუ მოსკოვი მესამე რომობას იჩემებდა, ნოვგოროდის მტკიცებით, მთელი რუსეთი იყო მესამე რომი. მას შემდეგ, რაც მოსკოვმა მიიტაცა ნოვგოროდი, ეს ორი კონცეპტი გაერთიანდა. და აი, რაში მდგომარეობს ხსენებული თავისებურება. ნოვგოროდი საეკლესიო სტატუსსა და, შესაბამისად, სახელმწიფოებრივისაც, იდასტურებდა არა ეკლესიისგან წარმომავალი ძალაუფლებით, არამედ ხელმწიფე კონსტანტინესაგან მომდინარე საკრალური სიმბოლიკით (Cha 2016, 214-215). გამოდის, რომ საკრალურობის წყარო არის სახელმწიფო, ან სახელმწიფოც ეკლესიასთან ერთად.

ეს ორი [ფილოთეოზისა და ჩაჩის] რელიგიური ლეგენდა არ განიზრახავდა რუსულ პოლიტიკურ დომინაციას. ის მხოლოდ შემდგომში, როცა ქვეყანას გაუმძაფრდა სურვილი ყოფილიყო იმპერია, რეინტერპრეტირდა და რეპროდუცირდა რუსეთის ისტორიულ წარმოსახულობაში (Cha 2016, 218).

კვლავ – ეკლესიური კი არ ბადებს (თუმცა ხელს უწყობს) იმპერიულ ამბიციას, არამედ ეს უკანასკნელი იყენებს პირველს. აშკარად დარღვეულია ბიზანტიური, თუნდაც მოჩვენებითი, წონასწორობა. თუკი ბიზანტიისათვის იმპერია თეორიულად მაინც იდგა ეკლესიის სამსახურში, რაც ასახულია საეკლესიო ჰიმნში, რუსეთი ეკლესიურ იდეას მთლიანად იყენებს (ან ცდილობს ჩაიყენოს) თავის სამსახურში. ეს ჰიმნი შედეგია,

იხარებდე სრულბრძენო კონტანტინე, მართლმადიდებლობის წყაროსთვალთ, რომელიც ტკბილი ცვარით მთლიანად მზისქვეშეთს ნიადაგ რწყავს და დააწყრულებს. იხარებდე ფესვო, რომლისგანაც ამოიყლორტა ქრისტეს ეკლესიის მასაზრდოებელი ნაყოფი (καρπὸς ὁ τρέφων τὴν Ἐκκλησίαν Χριστοῦ). იხარებდე კიდი-კიდემდე ქრისტიანეთა დიდებისმქონე სიქადულო, იმპერატოროთა უპირველეს-უპირატესო. იხარებდე მორწმუნეთა სიხარულო⁴³.

43 21 მაისის ცისკრის აქებთისაზე: გიხაროდენ კონსტანტინე ბრძენო, მართლმადიდებლობისა წყარო დაუწყუდელო, რომელი დაათრობ კიდეთა ქუეყანისათა. გიხაროდენ ხეო ნაყოფუშენიერო, რომლისაგან იზრდების ქრისტეს ეკლესია. გიხა-

აქ ბიზანტია „ეკლესიის მასაზრდოებელი ნაყოფია“; ხოლო რუსეთისათვის ეკლესია მესიანური ამბიციების მასაზრდოებელია. რაც შეეხება, „იხარებდე კიდით-კიდემდე ქრისტიანეთა დიდებისმქონე სიქადულთ, იმპერატორთა უპირველეს-უპირატესო. იხარებდე მორწმუნეთა სიხარულს“; ზემოთ უამთააღმწერელთა ოლგასთან და მიტროპოლიტ ილარიონთანაც ვნახეთ, რომ უკვე რუსეთია დედამიწის კიდით-კიდემდე ცნობილი ქვეყანა, ოლგას სახე პანდოკრატორი (ყოვლისმპყრობელი) იმპერატორის დედა ღვთისმშობელია და ვლადიმირ-ბასილი არის „თეთრი მეფეთ-მეფე“.

ამ მიმართების სასარგებლოდ ჯიი-ვონ ჩას კიდევ ერთ საინტერესო მსჯელობით ვისარგებლებ. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ მოსკოვისათვის კიევის რუსეთი სიმბოლოს როლს ასრულებს და მას ნიადაგ რეინტერპრეტირებს ხან რელიგიური და ხან სეკულარული ასპექტებით. ჩა საერთოდ არ ახსენებს კიევის რუსეთს, მაგრამ იგი განიხილავს მითისა თუ ლეგენდის იდეად გარდაქმნის პროცესს, „თავდაპირველად იდეა იყო მხოლოდ წარმოსახვა“ (Cha 2016, 221-222). პეტრე პირველმა „მესამე რომის“ იდეა საერთოდ უგულვებლყო და პეტერბურგის მშენებლობა სეკულარული რომის ნიმუშზე წამოიწყო. რუსეთი არის თავად რომი და არა ბიზანტიით თუ ეკლესიით გაშუალებული წარმონაქმნი.

რადგან ბიზანტიის ხატი ასოცირდებოდა მოსკოვთან და მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, უკან იქნა მოტოვებული და რომი იქცა იდეალიზებულიად, როგორც ახალი, მოდერნული ევროპული იმპერიისათვის იდეოლოგიური და ნივთიერი ნიმუში [...] მე-18 საუკუნისათვის იმპერიულმა იდეამ „მოსკოვი – მესამე რომიდან“ გადაინაცვლა „მოსკოვი – რომის ახალი იმპერია“ თუ „წმინდა პეტერბურგი ახალი რომისკენ“ (Cha 2016, 223).

პეტრე პირველმა გააუქმა საპატრიარქო და ცარის სანაცვლოდ მიიღო იმპერატორის წოდება. „ამგვარად თავად პეტრე დიდი განასახიერებდა („სიმბოლიზირებდა“) „რომის იდეას“ (იქვე, 224). მაგრამ, როგორც ზემოთ ხშირად აღმინიშნავს, რუსული სახელმწიფოს საკრალურობის იდეა ქრისტიანობის რუს-ში ჩასახვისთანავე უკვე არსებობდა.

სინამდვილეში კი თვით პეტრე პირველამდე მთელი ისტორიოსოფიური აპელაცია ძალაუფლების დისკურსისაკენ ასე თუ ისე აიგებოდა მსოფლიოს საკრალური ცენტრის რუს-ში გადატანაზე, რაც გულისხმობდა ადრინდელი საკრალური ცენტრების მიერ (ბაბილონი, იერუსალიმი, რომი, კონსტანტინოპოლი) ამ მნიშვნელობის დაკარგვას (Багдасарян 2019, 19).

ამ ქვეთავს დავამთავრებ ამონარიდით, რომელიც თავისთავადაა შემაჯამებელი:

უნიკალური მესიანიზმი და ექსპანსიონიზმი ჩაწნულია თითოეულ რუსულ იდეოლოგიაში, რადგან მოიცავს მე-18 საუკუნის პეტრე დიდის მოდერნულობის დისკურსს, სლავოფილობასა და ევრაზიანიზმს მე-19 საუკუნეში, საბჭოთა კავშირის სოციალიზმსა და პოსტ-საბჭოთა სივრცის ნეოევრაზიანიზმს. როდესაც ამ იდეოლოგიების უკან ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ვხედავ მპყრობელ და დამპყრობელ იმპერიულ

როდენ სიქადულო ცისკიდეთაო დიდებულთ, ქრისტიანეთა მეფეთა პირველთ და მთავართ. Χαίροις Κωνσταντίνε πάνσοφε, ὀρθοδοξίας πηγῆ, ἡ ποτιζουσα πάντοτε, τοῖς γλυκέσι νόμασι, τὴν σφῆλιον ἄπασαν. Χαίροις ἡ ῥίζα, ἐξ ἧς ἐβλάστησε, καρπὸς ὁ τρέφων, τὴν Ἐκκλησίαν Χριστοῦ. Χαίροις τὸ καύχημα, τῶν περᾶτων ἔνδοξε, Χριστιανῶν, βασιλέων πρώτιστε. Χαίρε χάρα τῶν πιστῶν.

იდენტობას ძნელია უარყო, რომ ისინი არიან მხოლოდ ამა თუ იმ პერიოდთან დაკავშირებული ვარიაციები და ტრანსფორმაციები იდეისა, „მოსკოვი – მესამე რომი“ (Cha 2016, 231).

მე მხოლოდ დავამატებდი, რომ „მოსკოვი – მესამე რომის“ მითი დაიბადა კიევის რუსეთის სიმბოლოდ.

2.3. პოლიტიკური ჰესიქაზმი

ცნება პოლიტიკური ჰესიქაზმი გასული საუკუნის სამოციანებში შემოიღო რუსმა ლიტერატურათმცოდნემ, გელიან პროხოროვმა. იგი გამოყოფდა ჰესიქაზმის განვითარებაში სამ პერიოდს:

1. პრივატული, საკელიო პერიოდი,
2. კინობიური (სამონასტრო)
3. პოლიტიკური, მეთოთხმეტე საუკუნის შუა ხანებიდან ბიზანტიის აღსასრულამდე.

პოლიტიკურის შეჯამება კი შეიძლება იყოს ამგვარი,

1. საღვთო მმართველობა – ღმერთის სამეფოს ე. ი. საეკლესიო მმართველობის უპირატესობა სახელმწიფოზე.
2. საეკლესიო ძალაუფლების ავტონომია – განსაკუთრებით რწმენის საკითხებში.
3. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უნივერსალურობა/საყოველთაობა.
4. რომაული (ბიზანტიურად, რომიული) იმპერიალიზმის უპირატესობა ბერძნულ ნაციონალიზმზე.
5. ორთოდოქსული ეკუმენიზმის ანუ ფასეულობების განვრცობა, გლობალიზაცია.
6. ინტენსიური მისიონერობა ჰესიქასტური იდეების საშუალებით.
7. საეკლესიის საქმიანობაში მხარდაჭერის მოთხოვნა მთავრობის მხრიდან.
8. ეკლესიისა და ხალხის მიერ მთავრობის მხარდაჭერა მხოლოდ მართლმადიდებლობის განუხრელად დაცვის შემთხვევაში.
9. ლათინური ანუ დასავლეთის გამაერთიანებელი მცდელობისადმი წინააღმდეგობა – ანტილათინურობა (Stoeckl 2010, 4).

თავისთავად, ჰესიქაზმი (მემყუდროება) ტერმინი ლოცვის ისეთ პრაქტიკას გამოხატავს, რომელიც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ნებისმიერი რელიგიისათვის. ეს არის გონის კონცენტრირება მოკლე, ერთსა და იმავე ლოცვაზე სხეულის განსაკუთრებული მდგომარეობისას, როდესაც სუნთქვის რეგულაციით ხდება ტვინის გარკვეული უბნების გააქტიურება ან პირიქით, რაც იწვევს ცნობიერების შეცვლას და ზოგჯერ ექსტაზურ ვიზიონირებებსაც. როგორც ჰესიქასტები ამტკიცებენ, ეს ვიზიონირება არის ღმერთის ენერგია/ების ჭვრეტა, რადგან თავისი არსებით მიუახლებელი ანუ უზიარებელი ღმერთი ადამიანის სხეულს თუ ცნობიერებას ეხება მხოლოდ საღვთო მოქმედებებით ანუ ენერგიებით. თავისთავად ამას არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკასთან, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, იგი იკავებს იდეოლოგიის ადგილს, რომლის ძირითადი ქარგებია ანტიდასავლურობა და კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან ამოხაპული ძალაუფლების საყოველთაობა. ამ იდეოლოგიამ რომ, ერთი მხრივ, ბიზანტიის წარხოცა გამოიწვია, და მეორე მხრივ, ის რომ დასავლეთს დღემდე უპირისპირებს ბალკანეთს და მართლმადიდებლურ

აღმოსავლეთ ევროპას, არაერთ ფილოსოფოსსა თუ მოაზროვნეს აღუნიშნავს (მათ შორის, მერაბ მამარდაშვილსაც). მაგალითისათვის მოვიყვან ბერძენი თეოლოგის, პეტროს ვასილიადისის კომენტარს ბერძენსავე ფილოსოფოსზე, სტელიოს რამფოზე. იგი წერს, რომ ასკეტურ-ჰესიქასტური ტექსტები ახალბერძნული ცნობიერებისა და იდენტობის მაკონსტრუირებელს შეადგენს. ცხოვრების ჰესიქასტური იდეალით ცხოვრებამ ხელი შეუშალა თანამედროვე დემოკრატიულ ცხოვრება-წყობილებაზე შუასაუკუნეების საზოგადოების გადასვლას. ადამიანებმა „უარყვეს საკუთარი პიროვნული რაობა“⁴⁴ აქ ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ სტელიოს რამფოსი დააყენებს პიროვნულობისა და იდენტობის პრობლემას ჰესიქასტური იდეოლოგიის ფონზე. ზემოთ ვნახეთ, რომ ევრაზიელებისათვის სწორედ პიროვნებაა უდაბლესი პუნქტი და უმაღლესია პოტენციურად მთელს მსოფლიოზე გადაჭიმული სახელმწიფო ერთობა. ამრიგად, ჰესიქასტური იდეოლოგიის მახასიათებელია ის, რომ ეს იდეოლოგია ვერ იღებს ადამიანის პირველადობას, მისი უფლებების საზოგადოებრიობის საფუძვლად დადებს და, შედეგად, პიროვნულ-თავისუფალ შემოქმედებითობას.

რუმინელ-ამერიკელი თეოლოგი დანიელ პაულ პაინე თავის დისერტაციაში იკვლევს პოლიტიკური ჰესიქაზმის აღორძინებას თანამედროვე ბერძენ მოაზროვნეებთან. იგი დაწვრილებით იკვლევს ჰესიქასტური მოძრაობის ისტორიულ-თეოლოგიურ პერიპეტიებს მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული, მეთვრამეტეს ჩათვლით და იმას, თუ როგორ ითრევედა ჯერ ბიზანტია და მერე მისი რელიქტი – სტამბოლში არსებული მართლმადიდებლობა სულთანის ძალაუფლებით ჰესიქასტურ პოლიტიკაში მთელს ბალკანეთსა და რუსეთს. ჰესიქაზმი იყო იდეოლოგია, რომლის საშუალებითაც სტამბოლში თავის ორბიტაზე ქაჩავდა და ინარჩუნებდა ბალკანელ მართლმადიდებლებს (Payne 2006, 173-202). სწორედ ჰესიქაზმი იყო ის, რისი მეშვეობითაც რუსულმა ეკლესიამ „შანტაჟი“ მოუწყო სახელმწიფოს (Stoekl 2010). თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ ეს უფრო რუსული ტრადიციული იდეის ხორცშესასხმელად პუტინის ადმინისტრაციისა და ამავე ადმინისტრაციის ნაწილის, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის შეთანხმებული სვლა იყო.

ჰესიქასტური მილიტარიზმის საჩვენებლად გამოდგება თუნდაც დევიდ მილერის თვალსაჩინოდ აღწერილი სერგი რადონეჟელის კომპლექსური პერსონაჟის შეთხზვა სამეფო დინასტიების სატახტო დავებთან მიმართებაში. სწორედ „სამშობლოს მოამაგე“ ამა თუ იმ მოცილეს სჭირდება პოლიტიკურად აქტიური ჰესიქასტის ხელოვნური გამოძერწვა, რათა თეოლოგიურ-იდეოლოგიურად განიმტკიცოს ძალაუფლება (Miller 1993). სახელმწიფო წარმოებაში რომ ბერძნულ მოდელს მაინც ყოველთვის მნიშვნელობა ჰქონდა, მოწმობს ლაატსიც,

ნიკონ პატრიარქიცა (1605–1681) და ცარ ალექსიც (1629–1676) შთაგონებული იყვნენ მესამე რომის იდეით და მათი მიზანი იყო ბერძნული რელიგიური წესის მოდელთან კვლავშეწყობა (Laats 2009, 11).

რუსეთში პეტრე პირველამდე ბიზანტიურ-ბერძნული რელიგიური წესის იდეალი მარად ნარჩუნდებოდა და არც შემდეგ შემწყდარა ჰესიქასტური წრეების გავლენები. თუმცა ბიზანტიურ-ოტომანური და პოლიტიკური ჰესიქაზმის ერთიანი მოდელი, რომლის მიხედვითაც ეკლესიას რამდენადმე დამოუკიდებელი საკუთარი ცხოვრება ჰქონდა, რუსეთში

44 Ο Πέτρος Βασιλειάδης καθηγητής Θεολογίας του Πανεπιστημίου Θεσσαλονίκης, σχολιάζει το έργο του Στέλιου Ράμφου <https://steliosramfosgr.wordpress.com/2017/03/06/o-petros-basileiades-kathigitis-theolo/> (11.09.2020).

კიევიური სიმბოლოს საწყისით შეზავდა და სახელმწიფო გახდა თავისთავადი მიზანი და ეკლესია ხან სრულად დაიქვემდებარა, ხან კი სრულადვე უარყო.

დასკვნა

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსანი არქიმანდრიტი კირილ ჰოვორუნი წერს,

ბიზანტიური ტრადიციის ნებისმიერი ეკლესიისათვის შეუცნობელ უფსკრულში კვანტური ნახტომის ტოლფასი იქნებოდა მხარი დაეჭირა პოლიტიკურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისთვის. ეს იქნებოდა ბიზანტიური საეკლესიო ტრადიციის ხასიათის წინააღმდეგ წასვლა. ბიზანტიურ საეკლესიო ერთეულებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ ევოლუციაში განუვითარდათ ის, რასაც მე ვუწოდებ „სიმფონიურ დნმ“-ს, საეკლესიო „გენს“. იგი უბიძგებს ეკლესიას, პოლიტიკურ ძალას შეერიოს, რაოდენ არა-ჰუმანურიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. საბჭოთა პერიოდში ეკლესიამ ისიც კი მოახერხა, რომ სიმფონიური ურთიერთობა დაამყარა თვით ათეისტურ რეჟიმთანაც (Hovorun⁴⁵ 2020).

ჰოვორინისეული „გენი“ უფრო რუსულ მართლმადიდებლობას აქვს, ვიდრე ზოგადად მართლმადიდებლობას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ბერძნული ეკლესია თავადაც ლოცულობდა სულთნისათვის. მაგალითად, პელოგონიის მიტროპოლიტის, კოსმა მადიტინოსის საგალობელთა წიგნში „Ποιμνικὸς Ἀυλὸς/სამოძღვრო სალამური“ (1897) და ასევე სმირნის პროტოვსალტის/მთავარმგალობელის, ნიკოლასის „Ἀναστασιατάρσιον/აღდგომითასა“-ში არსებობს შემდეგი პოლიქრონიონი/მრავალჯამიერი,

მარად იხსენი საფრთხეთაგან, ყოვლისმპყრობელო, სულთანი აბდულ ჰამით ხანი, სიქველეთა ნიმუში. მიეცი მას ბედნიერება, სრულსიცოცხლე ნეტარება (πανόλιον⁴⁶ ჯაიუ, ნეტარი ცხოვრება) და კურთხევა ჩაუღვარე მსახურებაშეურყენელ (ἀγιῶν⁴⁷, უგმობელ, უბიწო) სულში.

ვარდენ ბაღდასარიანიც აღნიშნავს, რომ 1877–78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისას კონსტანტინოპოლის პატრიარქი ჰერმანე მეხუთე ყველა დაქვემდებარებულ ორგანიზაციას ავალეზდა სულთნისათვის ლოცვას. მეტიც, მანვე განკვეთა რუსეთის არმიამი მოღვაწე ბერძენი გენერალი. ზოგადად, ის წარმოადგენდა ოსმალური იმპერიის რუპორს. ბალკანური ომების დროსაც იმავეს აკეთებდნენ მასთან დაკავშირებული სხვა ბერძენები⁴⁸ (Багдасарян 2019, 22-23).

45 Cyril Hovorun, *Orthodox Church and mass protests in Belarus*, <https://reldtoday.com/en/news/pravoslavnaia-cerkov-i-protesty-v-belorussii-3-2/> (11.09.2020)

46 Πανόλιον - სიტყვასიტყვით, მთელი სიცოცხლის სრულად მომცველი.

47 ტერმინი აგნოს (ἀγιῶν) ახალი აღთქმის ძველქართულ თარგმანში ითარგმნება *სიწმინდედ* (1 პეტრე 3:2) და ზოგადად აღნიშნავს შეურყენელ, უგმობელ ღვთისმსახურებას.

48 ღირსი ილარიონ ქართველი (ახლის) ცხოვრებაშიც აღწერილია მსგავსი მოვლენა. ილარიონი მკაცრად ილაშქრებდა სულთნის ლიტურგიისას მოხსენიების წინააღმდეგ იხ. Vladimir Moss, *The Tsar, the Patriarch, and the Sultan*, <http://www.orthodoxchristianbooks.com/articles/1000/-tsar,-patriarch-sultan/?fbclid=IwAR0u1>

კირილ ჰოვორუნს ასევე მოჰყავს საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის მიტროპოლიტ ანასტასი გრიბანოვსკის (1873-1965) მისალმება ადოლფ ჰიტლერისადმი (1938),

არა მხოლოდ გერმანული ნაცია მოგიხსენიებს მხურვალე სიყვარულით და უზენაესის ტახტისადმი მსახურებით: ყოველი ნაციის საუკეთესონი, რომლებიც გისურვებენ მშვიდობასა და სამართალს, გიყურებენ, ვითარცა მსოფლიოს მშვიდობისა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის მეზაირადეს. [...] დაე, მტრულ ძალებთან ბრძოლაში გაგაძლიეროს ღმერთმა შენ და შენი გერმანელი ხალხი. [...] დაე, მან უბოძოს შენ, შენს ქვეყანას, შენს მთავრობასა და ჯარს სიმრთელე და წარმატება⁴⁹ (Hovorun 2018, 80-81).

ეს მისალმება კარგად აღწერს ნახსენებ „გენს“ და იმას, რასაც ვცდილობდი მეჩვენებინა. კერძოდ, „რუსული სულისათვის“ სახელმწიფო და ხელისუფლება თავადაა საკრალურობა და ეკლესიის საკრალურობა განუყოფელია მისგან. ამრიგად, ევრაზიანიზმი ამ „სულის“ თუ გონწყობის მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლინებაა. ვნახეთ, რომ ევრაზიანიზმი სულაც არაა მწყობრი და უცვლელი კონცეპტი. ის იცვლება და ერგება სახელმწიფოს, თუ „რუს“-ის მესიანისტურ საჭიროებას. „წმინდა რუსეთი“ თავადაა მსოფლიო და თუ ეს ჯერ ასე არაა, თუ „რუს“-ი ჯერ კიდევ „დაჩოქილია“, ის აუცილებლად წამოდგება, და როგორც საქართველოს პატრიარქს ხშირად უთქვამს ხოლმე საქართველოზე, „ივერია გაბრწყინდება და გაბრწყინება უკვე დაწყებულია“, ასევე „წმინდა რუსეთი“ წამოდგება და წამოდგომა უკვე დაწყებულია. ოღონდ არსებობს კი მართლა ეს „წმინდა რუსეთი“?

ჩემი ვარაუდი ეხმიანება ჰოვორუნის „გენს“, ანუ იმას, რომ რუსული მართლმადიდებლობა თავის თავს მხოლოდ „უფრო ვრცელი საკრალურობის“, ანუ არა საკრალური-ეკლესიის, არამედ საკრალური-სახელმწიფოს წიაღში მოიაზრებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი საკუთარ თავს ქრისტიანული ესქატოლოგიური მშვიდობის მიწყევ-განხორციელებად სიმბოლოდაც მოიაზრებს – სხვანაირად შეუძლებელია იწოდოს ეკლესიად. ასევე ცხადია, რომ თავად ეკლესია-სიმბოლო ექვემდებარება გარდასახვას, შემოქმედებით ანუ რისკიან ნიადაგ-ინტერპრეტირებას და მისი სახის ერთხელ და სამუდამოდ დადგენა არსებითად შეუძლებელია. ამიტომ ევრაზიანიზმიც, როგორც ეკლესიის სიმბოლოს „მომხმარებელი“, შეუძლებელია იყოს სტატიკური და ერთხელ და სამუდამოდ განმარტებული და ამოწურული კონცეპტი.

გამოყენებული ლიტერატურა

კახა კურტანიძე, „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების ტრინიტარული პარადიგმა“, კრებულში პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ, რედ. გიგა ზედანია (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012).

Butler, Francis. 2008. Olga's Conversion and the Construction of Chronicle Narrative. *The Russian Review*, no. 67 (April): 230–242.

Cha, Jhee-Won. 2016. Imagining an Empire: The Idea of “Moscow-The Third Rome” and the Russian

W4U6bOeB9dTUXkJP4uQCZh7E7OY-hwKjIz7BgpLcQPILAGm6FxsCrY. ან <https://www.stefmon.ru/chronic/преподобный-иларион-грузин-святогорец> (11.09.2020)

49 გამოქვეყნებულია ჟურნალში „Церковная жизнь“ [საეკლესიო ცხოვრება] 5, N. 6 (1938): 96.

- Empire, *HORIZONS* 7, no. 2: 209-234.
- Chamberlain, Lesley. 2007. *Motherland. A Philosophical History of Russia*. New York, NY: The Rookery Press.
- DeBlasio, Alyssa. 2014. *The End of Russian Philosophy Tradition and Transition at the Turn of the 21st Century*. London, UK: Palgrave Macmillan.
- Evans, Alfred B. JR. 2008. Putin's Legacy and Russia's Identity. *Europe-Asia Studies* 60, no. 6 (August): 899-912.
- Figes, Orlando. 2002. *Natasha's Dance. A Cultural History of Russia*. New York, NY: Metropolitan Books, Henry Holt and Company.
- Georges Florovsky, Nikolay Andreyev and James Billington, "The Problem of Old Russian Culture", in *Readings in Russian Civilisation, Vol. I, Russia before Peter the Great, 900-1700*, ed. Thomas Riha (Chicago IL: The University Chicago Press, 1964) 216-34.
- Groppe, Elizabeth T. 2005. Creation Ex Nihilo and Ex Amore: Ontological Freedom in the Theologies of John Zizioulas and Catherine Mowry Lacugna. *Modern Theology* 21, no. 3 (July): 463-496.
- Hovorun, Cyril. 2018. *Political Orthodoxies. The Unorthodoxies of the Church Coerced*. Minneapolis MN: Fortress Press.
- Isaiah Berlin, "Russian Thinkers," ed. Henry Hardy and Aileen Kelly (London, UK: Penguin Books 1978).
- Laats, Alar. 2009. The Concept of the Third Rome and its Political Implications, KVÜÖA toimetised, no 12 (Kaitseväe Ühendatud Öppeasutused/ Estonian National Defence College): 98-113.
- Makarov, V. G. 2008. Pax Rossica. The History of the Eurasianist Movement and the Fate of the Eurasianists. *Russian Studies in Philosophy* 47, no. 1 (Summer): 40-63.
- Meyendorff, John. 1996. *Rome; Constantinople, Moscow. Historical and Theological Studies*. New York, NY: St Vladimir's Seminary Press.
- Miller, David B. 1993. The Cult of Saint Sergius of Radonezh and Its Political Uses, *Slavic Review* 52, no. 4 (Winter): 680-699.
- Payne, Daniel Paul. The Revival of Political Hesychasm in Greek Orthodox Thought: A Study of the Hesychast Basis of the Thought of John S. Romanides and Christos Yannaras. PhD diss., Baylor University.
- Shimmelpenninck van der Oye, David. 2010. *Russian Orientalism: Asia in the Russian Mind from Peter the Great to Emigration*. New Haven & London: Yale University Press.
- Stamler, Heinrich. 1958. Russia between Byzantium and Utopia, *Russian Review* 17, no.2 (April): 94-103.
- Stoeckl, Kristina. 2010. Political Hesychasm? Vladimir Petrunin's Neo-Byzantine Interpretation of the Social Doctrine of the Russian Orthodox Church, *Study in East European Thought* 62: 125-133.
- Stoeckl, Kristina. 2020. The End of Post-Soviet Religion Russian Orthodoxy as a National Church. *Public Orthodoxy*. <https://publicorthodoxy.org/2020/07/20/the-end-of-post-soviet-religion/> (10.09.2020)
- Veera Sofia Laine, "The 'Russian World' and the Orthodox Church in the Post-Soviet Space," in *What has Remained of the USSR: Exploring the Erosion of the Post-Soviet Space*, eds. Arkady Moshes and & András Rácz (Helsinki: Finnish Institute of International Affairs, 2019)195-216.
- White, Monica. 2004. Military Saints under the House of Suzdal'. *The Russian Review* 63 (July): 493-513.
- Багдасарян, Вардан. 2019. „Второй Рим против Третьего Рима“: исторический генезис конфликта Константинопольского патриархата и русской православной Церкви, Вестник Московского государственного областного университета. *История и политические науки*, no. 3:17-31.

- Базавлук, С.В. 2020. Евразийцы о роли православия и церкви в национально-государственном развитии России, *Вестник рудн*. Серия: история россии (Москва: Российский университет дружбы народов): 254–268.
- В.Ф. Шаповалов, «Лев Платонович Карсавин», в Сб.: Судьбы творцов российской науки, Сост: А.В. Сурин и М.И. Панов (М., «Урсс», 2002) 97-98.
- Замалеев, Александр. 2012. § 2. Богословская экзегеза древнекиевской эпохи, *История русской философии* / Под общ. ред. проф. А. Ф. Замалеева (СПб.: Изд-во филос. ф-та СПбГУ): 14-27.
- Пушкин, С.Н. и Л.Е. Шапошников 2017. Славянофильско-евразийское понимание отечественной цивилизации, *Вестник Мининского университета*, по 2, 1-10.
- С.С. Аверинцев. 2018. *Византия и Русь: два типа духовности. Статья первая. Наследие священной державы*, Развитие личности, Номер: 1: 225-246.
- Шкаровский, Михаил. 2009. Сталинская религиозная политика и Русская Православная Церковь в 1943-1953 годах, *Acta Slavica Iaponica, Tomus 27*: 1-27.